ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 21 აგვისტო, 2018 №197 (7742) ფასი: 60 თეთრი

## „უბრალოდ, დამმარხეთ და მეტი არაფერი“

გვ.7



რატომ ჩამოიხრჩო თავი 18 წლის მათე კვარაცხელიამ

# „ივანიშვილი ზურაბიშვილის კანდიდატურას თავისით არ წამოაყენებდა“



გვ.5

## „დღეს იბადება ურჩხული, რომელიც საკუთარ მშობელს გადაყლაპავს“

გვ.2



გია ხუხაშვილი: „მარგველაშვილი სწორად იქცევა, მაგრამ პოლიტიკურად აგებს“

## „ოცნება“ სალომე ზურაბიშვილს უკვე შეუთანხმდა“



გვ.4

## „შესაძლოა, პირიქითა ხევსურეთიც დავკარგოთ“

გვ.3



გელა ხუციშვილი: „კავკასიონზე 43 გადმოსასვლელიდან 25-ს რუსეთი აკონტროლებს“



გვ.3

## პეტრე მამრაძე: „მერკელი პუტინს არ უთმობს და ამიტომ ჩამოდის სამხრეთ კავკასიაში“

## გუბერნატორებად ძველი მოკავშირეები და სააკაშვილის კადრები დანიშნეს

გვ.2





**სამართალი** გვ.7



## რა წერია აუდიტის დასკვნაში, რამაც მერაბ ჭანუყვაძეს თანამდებობა დააკარგვინა





## სასამართლომ გლდანის მე-8 საპყრობილის რეჟიმის განყოფილების ყოფილი უფროსი ინსპექტორი დამნაშავედ ცნო





## ქარელში ჯარისკაცი სანადირო თოფით მოკლეს

**ეკონომიკა** გვ.6

## ივლისში კვების პროდუქტებზე, სასმელებსა და თამბაქოზე ფასები შემცირდა, თუმცა, წინა წელთან შედარებით — გაიზარდა



## ავტომობილებს ველარ დაალომბარდებთ



## მთავრობა ცემენტის ადგილობრივი მწარმოებლების პრობლემას კვირის ბოლომდე გადაწყვეტს



ISSN 1987-9385

5 რატომ ვერ იმუშავა კახეთის სტიქიის დროს სეტყვის საწინააღმდეგო სისტემამ

6 საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტი გაიზარდა

5 ეკატერინე მიქაბაძე: „უმუშევრობის შემცირება მთავრობის სწორ ეკონომიკურ პოლიტიკაზე მიუთითებს“

7 პოლიციელები, რომლებმაც შსს-ს აკადემიაში გამოცდები ვერ ჩააბარეს, სამსახურიდან გათავისუფლდნენ

# გუბერნატორებად ძველი მოქკავშირლები და სააკაშვილის კადრები დანიშნეს

შორენა მარსაგიშვილი

დიდი ხნის ლოდინის შემდეგ მმართველმა პარტიამ, როგორც იქნა, უპატრონოდ დატოვებულ მხარეებს გუბერნატორები დაუნიშნა. თავიდან მხოლოდ 6 გუბერნატორი იყო დასანიშნი, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, პრემიერმა შვიდი რწმუნებული დანიშნა.

ეს გაუგებრობა გურიის გუბერნატორმა გამოიწვია. მერაბ ჭანუყვაძემ გურიის გუბერნატორის პოსტი ივლისში დატოვა. მან სამსახურიდან პირადი ნივთებიც წამოიღო, თანამშრომლებსაც დაემშვიდობა, მაგრამ დაურეკეს და უთხრეს, რომ გუბერნატორის პოსტზე დარჩენილიყო.

გუშინ, 20 აგვისტოს, პრემიერმა გურიასაც ახალი გუბერნატორი დაუნიშნა. მერაბ ჭანუყვაძე ახლა საბოლოოდ წავიდა თანამდებობიდან. ამიერიდან საქართველოს შვიდ რეგიონს ახალი გუბერნატორები ჰყავს.

სამეგრელო-ზემო სვანეთის ახალი გუბერნატორი ალექსანდრე მოწერელიაა. იგი ამ დრომდე თხილის გადამამუშავებელთა და ექსპორტიორთა ასოციაციის თავმჯდომარედ მუშაობდა.

იმერეთის ახალი გუბერნატორი პოლკოვნიკი შავლეგო ტაბატაძეა. ბოლო 20 წლის განმავლობაში ის საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა.



შიდა ქართლის გუბერნატორი გიორგი ხოჯევანიშვილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობდა. წლების განმავლობაში იგი გენერალური ინსპექციის თანამშრომელი და დეპარტამენტის უფროსი იყო. გუბერნატორის თანამდებობის დაკავებამდე „მაგთიკომში“ მუშაობდა.

ქვემო ქართლის ახალი გუბერნატორი შოთა რეხვიაშვილი 1995 წლიდან 18 წლის განმავლობაში მთავარ პროკურატურაში მუშაობდა. 2012-2013 წლებში იყო მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის მოადგილე.

მცხეთა-მთიანეთის ახალი გუბერნატორი შალვა კერესელიძე გახდა.

აქამდე ის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა.

გურიის ახალი გუბერნატორი ზურაბ ნასარაია გახდა. ბნელ 90-იანებში ის მოქკავშირის წევრი იყო და, როგორც ამბობენ, ხათუნა გოგორიშვილისა და მიშა მაჭავარიანის კადრად ითვლებოდა.

ახალმა გუბერნატორებმა საზოგადოებაში ფურორი ვერ მოახდინეს. სოციალურ ქსელებში მათი მისამართით ბევრი უარყოფითი დაიწერა. მათ ძირითადად წარსულს უწუნებენ.

ყველაზე შავი წარსული, როგორც ჩანს, შიდა ქართლის გუბერნატორს აქვს. მასთან დაკავშირებით ჟურნალისტი ირაკლი კორძაია სკანდალურ ინფორმაციას ავრცელებს. კორძაია დღეს საქართველოდან არის წასული. ხელისუფლებაში „ოცნების“ მოსვლის შემდეგ ის სასჯელაღსრულების სამინისტროს პრესსამსახურს ხელმძღვანელობდა.

რას წერს კორძაია შიდა ქართლის ახალ გუბერნატორზე:

– ეს ამება გახლავთ ხათუნა კალმახელიძის წინაშე უკანა თათებზე მოსიარულე გიორგი ხოჯევანიშვილი, 2011-2013 წლებში სასჯელაღსრულების სამინისტროს საერთაშორისო დეპარტამენტის უფროსი. იმედია, არავის სჭირდება იმის შეხსენება, თუ რა ხდებოდა იმ პერიოდში საპატიმროებში. პირადად აბოლებდა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საელჩოებს, როდესაც მათ ციხეებში გაუსაძლის მდგომარეობაზე ინფორმაცია მისდიოდათ. განგებ არ მოვყვები დეტალურად, თუ რას მიყვებოდნენ მისგან დაბულინგებული და დაჩაგრული ხელქვეითები.

არც ჩემი და მისი პირადი ურთიერთობით შეგაწყენთ თავს. სოზარ სუბარს ერთი სული ჰქონდა, როდის დაწერდა განცხადებას და დატოვებდა სამინისტროს. დღეს ის შიდა ქართლის გუბერნატორად დანიშნეს. იმის გათვალისწინებით, რომ სუბარი დღეს მთავრობის რეგიონული სამსახურის უფროსია, ნამდვილი ბედის დაცინვაა სოზარისთვის. მაგრამ, არა უშავს, ამასაც „აიტანს“.

* * *

იმდენი ხანი არჩიეს გუბერნატორები, კაცი იფიქრებდა, რომ სასწაულ პროფესიონალებს მოიყვანდნენ. ისე, ალბათ, არიან კიდევაც პროფესიონალები – ამდენ ხელისუფლებასთან გამონახო საერთო ენა, იოლი საქმე არ არის.

# „დღეს იბადება ურჩხული, რომელიც საკუთარ მშობელს გადაყლაპავს“

## გია ხუხაშვილი: „მარგველაშვილი სწორად იქცევა, მაგრამ პოლიტიკურად აგებს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **გია ხუხაშვილი** პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის პოლიტიკასა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატის ირგვლივ მიმდინარე პროცესზე საუბრობს.

***– ბატონო გია, პრეზიდენტი მარგველაშვილი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატთან დაკავშირებით კონსულტაციებს ასრულებს. რა შეგიძლიათ თქვათ ამ პროცესზე?***

– ჯერ ამ პროცესიდან ოპტიმიზმის საფუძველი არ გვაქვს. ფაქტია, დიალოგი არ არსებობს პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის. დიალოგის არარსებობა ოპტიმიზმის საფუძველს არ ტოვებს.

***– დიალოგი რომ ყოფილიყო, პარლამენტი პრეზიდენტის წარდგენილ კანდიდატს ერთხმად დაამტკიცებდა?***

– შანსი იყო. შეიძლება, მე ილუზია მაქვს, მაგრამ სახელმწიფო ინტერესის გამარჯვების მეტი შანსი იყო. სახელმწიფო ინტერესიდან გამომდინარე, შეთანხმების მიღწევა შეიძლებოდა.

***– პრეზიდენტმა რა დააკლო ამ ძალისხმევას?***

– ძალიან მაღლა ასწია თამასა. პოლიტიკური განცხადებები გააკეთა პროცესის საჯაროობასთან დაკავშირებით, რაც ჯანსაღ ვითარებაში სწორია და ის სქემა, რომელიც მან აირჩია, სწორია, მაგრამ პოლიტიკა არ არის სწორხაზოვანი. შედეგზე თუ ხარ ორიენტირებული, ზოგჯერ შემოვლითი გზებითაც გიწევს სიარული. მე ვფიქრობ, რომ სწორედ შემოვლითი გზა იყო ხელისუფლებასთან კულისებში მოლაპარაკება და შეთანხმების მიღწევა ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. თუ კონსენსუსი იქნებოდა, მერე შეიძლებოდა გამოტანა ამის გარკვეული დალაგებული სქემით.

***– ახლა რა ეტაპზე ვართ?***

– გაუგებარია ის გეგმები, რომელთაც პრეზიდენტი ახორციელებს. ის იქცევა სწორად, მაგრამ შედეგზე არ არის ორიენტირებული ეს გეგმები. პრეზიდენტმა რამდენიმე სწორი პოლიტიკური ნაბიჯი გადადგა, მაგალითად, ვეტოს გამოყენებასთან დაკავშირებით, მაგრამ პოლიტიკური სტრატეგიის თვალსაზრისით ეს არცთუ გამართულად იყო გაკეთებული. შესაბამისად, შედეგსაც ვერ იღებდა.

ასე შემიძლია ვთქვა: პრეზიდენტ მარგველაშვილს სახელმწიფოებრივად სწორი და გამართული პოზიციები ჰქონდა, მაგრამ მან პოლიტიკურად წააგო! ყველა ეს რაუნდი წააგო.

***– თქვენ ამბობთ, რომ პრეზიდენტს თავისი ბრძოლა ბოლომდე არ მიჰყავდა?***

– დიახ, არ მიჰყავდა! უკმარისობის განცდას ტოვებდა, შუა ბრძოლის ველიდან გამოდიოდა. ზოგჯერ ამას საზოგადოებაში კაპიტულაციის განცდა მოჰყვებოდა და ამის არაერთი მაგალითი იყო სწორად გამოყენებული ვეტო და შემდეგ კანონპროექტისთვის ხელის მოწერა.

ერთ-ერთი ბოლო ძალიან ნიშანდობლივი მაგალითი იყო აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის შერჩევის საკითხი. ამ შემთხვევაშიც პრეზიდენტმა სწორი პროცესი დაიწყო, სწორი მოლოდინებიც შექმნა საზოგადოებაში და ამ დროს რა მოხდა – გააკეთა ის, რაც ხელისუფლებას სჭირდებოდა. რა თქმა უნდა, პრეზიდენტის ასეთი ნაბიჯები უკმარისობის განცდას იწვევს.

***– რითია ეს განპირობებული?***

– ვერ გეტყვით, თითქოს მის პოლიტიკურ შესაძლებლობებში არ არის დარწმუნებული. მის მხარდამჭერებსაც კი ეჭვი ეპარებათ ამაში.

***– კანდიდატურის შერჩევას რომ დავუბრუნდეთ, ეს პროცესი განწირულია?***

– იქითკენ მიდის ყველაფერი, რომ პრეზიდენტობის კანდიდატს პარლამენტი ჩააგდებს და რა შედეგს ელოდება აქედან?! არ ვიცი, ეს ჩემთვის გაუგებარია!

***– პრეზიდენტი ძვირი პოლიტიკური ფასის გადახდაზე საუბრობდა, რომელსაც „ქართულ ოცნებას“ გადაახდევინებდა.***

– ამაზეც შეიძლება პოლიტიკის აგება, მაგრამ მე ეჭვი მაქვს, რომ ვერანაირ პოლიტიკას ვერ ააგებს. ამის გამოცდილება არ აქვს. კონსტიტუციის მიღების პროცესი, მოსმენების კანონმდებლობის მიღება, რომელი ერთი დავასახელო – ყველა ეს საკითხი იყო ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის. მაშინაც შეიძლებოდა ხელისუფლებისთვის მაღალი პოლიტიკური ფასის გადახდევინება, მაგრამ არათუ ფასის გადახდა, ადამიანებს პრეზიდენტის ვეტოები დაავიწყდათ. პრეზიდენტმა ხელისუფლებას ნულოვანი პოლიტიკის ფასი გადაახდევინა.



***– ახლა რა პოლიტიკური ფასის გადახდევინება შეუძლია?***

– არც არაფრის.

***– ამ პროცესში რა სტრატეგია რჩება პრეზიდენტ მარგველაშვილს?***

– იმ გამოცდილებით, რომელიც ჩვენ გვაქვს, მე მაღალი მოლოდინი არ მაქვს, რომ ვინმეს რამეს გადაახდევინებს, თუმცა, ვერც გამოვრიცხავ, რადგან ის ამთავრებს საპრეზიდენტო ვადას და უნდა გავიდეს ამ პროცესიდან. შეიძლება, რამე აქვს მოფიქრებული.

დღეს პრეზიდენტი მარგველაშვილი გაორებულ მდგომარეობაშია, სამომავლო გეგმები არ აქვს ჩამოყალიბებული, ის ან წინ უნდა წავიდეს, ან უკან, ან უნდა დარჩეს პოლიტიკაში და მეორე ვადით იყაროს კენჭი, რაც ძალიან მძიმე პროცესია, მისი ხასიათიდან გამომდინარე, რადგან მაინცდამაინც კომფორტულად არ გრძნობს თავს საჯარო პოლიტიკაში, უფრო საზოგადოებრივ პლატფორმაზე ურჩევნია მუშაობა, ან უნდა გავიდეს პოლიტიკიდან, მაგრამ მექანიკური ხომ არ არის პოლიტიკიდან გასვლა. ამას შესაბამისი შეფუთვა სჭირდება. ასე არ ხდება, პრეზიდენტმა ერთი ჩემოდანი ჩაალაგა და სახლში წავიდეს. ამ გასვლის შეფუთვა შეიძლებოდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის საკითხი გამხდარიყო. იმის თქმა მინდა, რომ უფრო თავაწეული წასულიყო, უკმარისობის გრძნობის გარეშე. მიუხედავად ამ ყველაფრისა, მე მაინც არ ველოდები, რომ ამ მიმართულებით პოლიტიკური პროცესი გაღვივდეს.

***– კანდიდატის შერჩევის პროცესი კონსტიტუციის ახალი რედაქციის ამოქმედებამდე გადაიწევს?***

– ალბათ, გადაიწევს, მაგრამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ ეს პროცესი ახლა დასრულდეს.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ ეს არის შანსი, ჩვენ, საზოგადოებამ, იმ სავალალო მდგომარეობაში, რომელშიც სასამართლო სისტემა იმყოფება, ახალი ყინულმჭრელი შევიყვანოთ – ადამიანი, რომელიც ძალიან სახიფათო მმართველობით სისტემას დააბალანსებს მაინც, თუ ვერ გააჯანსაღებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ პროცესი ახალი კონსტიტუციის ამოქმედების შემდეგ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გადავა, კოლექტიური მურუსიძე-ჩინჩალაძის კოლექტიური მაფიოზური მმართველობა კიდევ უფრო გაძლიერდება და უფრო საშიშ სახეს მიიღებს. ისინი უკვე დაასრულებენ სასამართლო სისტემის საკონტროლო პაკეტის ჯიბეში ჩადებას.

ეს ძალიან სახიფათოა, სახიფათოა ხელისუფლებისთვისაც. ამის შემდეგ ისინი შეიძლება ხელშეუხებლები გახდნენ და აქეთ უკარნახონ ხელისუფლებას თამაშის წესები. დღეს შეიძლება იბადება ურჩხული, რომელმაც შესაძლოა საკუთარი მშობელი გადაყლაპოს.

***– ხელისუფლება ამას ვერ აცნობიერებს?***

– როგორც ჩანს, ვერ აცნობიერებს. ყველა ხელისუფლების პრობლემა, საბოლოო ჯამში, ეს არის – ფიქრობს, რომ ყველაფერს აკონტროლებს და ამ დროს პრაქტიკა საწინააღმდეგოს აჩვენებს.

ხელისუფლებაში ცოტაა ადამიანი, რომლებსაც თუნდაც უახლესი საქართველოს ისტორია წაუკითხავთ და მცდელობა მაინც ჰქონიათ, რომ ის შეცდომები, რომლებსაც სხვები უშვებდნენ, არ გაიმეორონ. სხვების შეცდომებზე კი არა, საკუთარ შეცდომებზე ვერ სწავლობენ. ადამიანებს უძლეველობის ილუზია უჩნდებათ, როგორც კი ძალაუფლებას ხელში მოიგდებენ.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „შესაძლოა, პირიქითა ხევსურეთის დავკარგოთ“

## გელა ხუციშვილი: „კავკასიონზე 43 გადმოსასვლელიდან 25-ს რუსეთი აკონტროლებს“

შორენა მარსაგიშვილი

რა ხდება საქართველოს საზღვრებზე, რა დანაშაული ჩაიდინა ყოფილმა პრემიერმა, რატომ ეძებენ უცხოური კომპანიები ოქროს საბადოებს საქართველოს ტერიტორიებზე, როგორ აღმოჩნდა ჰუჯაბის მონასტერი სომხეთის ხელში? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ექსპერტი სასაზღვრო საკითხებში **გელა ხუციშვილი** ესაუბრება.

***– დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს რუსეთთან გამუდმებით სასაზღვრო პრობლემები აქვს. ამდენი წლის განმავლობაში რატომ არ მოხდა საზღვრების დადგენა?***

– ვინ გითხრათ, რომ საზღვრების დადგენა არ მომხდარა. 1920 წელს რუსეთმა დამოუკიდებელი საქართველო აღიარა გუბერნიის საზღვრებში. ეს შეთანხმება 1920 წლის 5 მაისს გაფორმდა, ამ შეთანხმების საფუძველზე სომხეთისა და აზერბაიჯანის მონაკვეთიც კი იქნა დადგენილი. იმ პერიოდისთვის მხოლოდ მყინვარები და უღელტეხილები დარჩა შეუთანხმებელი.

1921 წლის თებერვალს მოხდა საქართველოს გასაბჭოება და ხელახლა მოხდა საზღვრების გადახედვა. მაშინდელ შეთანხმებებსა და დოკუმენტებში ძალიან კარგად არის აღწერილი, თუ რა საზღვრებში შევიდა საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში.

დიახ, რუსეთი ოკუპანტია, მაგრამ ასეთივე ოკუპანტია თურქეთიც. მას საქართველოს კუთვნილი 23.000 კვ.კმ აქვს მითვისებული. საქართველოს ტერიტორია ასევე მიტაცებული აქვთ სომხეთსა და აზერბაიჯანს. ასე რომ, ჩვენ ყველა ასწლეულში ვკარგავთ ტერიტორიებს.

***– კიდევ კარგი, სხვა სახელმწიფოც არ გვესაზღვრება, თორემ იმ მიმართულებითაც დავკარგავდით ტერიტორიებს.***

– დღეს ხელისუფლებას საზღვრების მიმართ ძალიან სუსტი დამოკიდებულება აქვს. ბოლო პერიოდში ვინმეს მოუსმენია სახელმწიფო სადემილიტაციო კომისიის ანგარიში? ასეთი მოსმენა არც პარლამენტში გამართულა.

***– მოსმენას ვინ ჩივის, ეგეთი კომისია კიდევ თუ არსებობს, ხალხს აღარც კი ახსოვს.***

– აღარც კი ახსოვთ, ასეთი კომისია რომ არსებობს, ხომ? თუნდაც ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, თუ როგორი დამოკიდებულებაა საზღვრების მიმართ.

რამდენიმე წლის წინ გავარდა ასეთი ხმა – მდინარე ჭოროხის გადმოვარდნის გამო საქართველოს პრემიერმა 6 ჰა ტერიტორია მისცა თურქეთს.

***– კვირიკაშვილზეა საუბარი?***

– კვირიკაშვილზე ამბობდნენ. ზუსტად რა მოხდა, არ ვიცით. ან ფაქტია არასწორად გადმოცემული, ან კვირიკაშვილი შეიყვანეს შეცდომაში.

სასაზღვრო მონაკვეთი მდინარე ჭოროხზე, როგორც სასაზღვრო მდინარეზე, დადგენილია საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმის დაცვით. ამ მდინარეზე მკვეთრად გამოხატულ ადგილებზე არის ნიშნულები. მდინარე სადაც არ უნდა გადავარდეს, სულაც რომ გაქრეს, საზღვარი მაინც უცვლელი რჩება. ე.ი. აქ გვაქვს საქმე უზარმაზარ დილეტანტიზმთან.

პრემიერს არანაირი უფლება არ ჰქონდა, ამ საკითხზე ასეთი გადაწყვეტილება მიეღო, რადგან კონსტიტუციის პირველი თავის მე-2 მუხლი გვეუბნება, რომ საზღვრების მონაცვლეობისა და საზღვრების საკითხი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს პრეროგატივაა.

სადავო გვქონდა სომხეთთან ლავლანის ქედი. არის ასეთი ტერმინი კონდომინიუმი. ეს არის, როდესაც ტერიტორია ერთი სახელმწიფოსია, მაგრამ, პრაქტიკული თვალსაზრისიდან გამომდინარე, ამ ტერიტორიას ორივე სახელმწიფო იყენებს.

იქ ქართველი მოსახლეობის სიმჭიდროვე ძალიან დაბალი იყო და ამიტომაც იყენებდნენ სომხები ამ ქედს. იქვე არის ჰუჯაბის მონასტერიც. ამ მტკივნეულ თემაზე დიდი ხნის წინ დაიწყო საუბარი და მოდის კარგა ხანია. ახლა ვიგებთ, რომ ჰუჯაბის მონასტერი გადაეცა სომხეთს.

***– რის საფუძველზე მოხდა სამონასტრო კომპლექსის გადაცემა?***

– არ ვიცით. ამის შესახებ ინფორმაციამ პრესაში გაიელვა. ამის დამადასტურებელი ინფორმაცია არც პარლამენტს გაუვრცელებია და არც სადემილიტაციო კომისიის ანგარიშში ყოფილა ამ თემაზე რამე წარმოდგენილი. აი, ასე ამბად გავიგეთ ამ ფაქტის შესახებ. ასე ხომ არ შეიძლება, საქმე სახელმწიფოს ტერიტორიას ეხება. სადღაც გავიგებთ ინფორმაციას, ავყვირდებით, ხელისუფლება კი ყველაფერს დამალავს და დაფარავს.

ამ შემთხვევაში სასაზღვრო უწყებას პრეტენზიებს ვერ წავუყენებთ. ისინი ასრულებენ იმ დავალებას, რომელსაც მათ სახელმწიფო აძლევს. ისიც იცოდეთ, რომ დღევანდელ სასაზღვრო ძალებს საზღვრის დაცვა აღარ ევალებათ.

***– აბა რა ევალებათ მესაზღვრეებს?***

– საზღვრის კონტროლი.

***– რას ნიშნავს კონტროლი?***

– რას ნიშნავს საზღვრის კონტროლი? კვირაში ერთხელ ან ორჯერ გაივლი კვატროციკლით საზღვრის გასწვრივ და აქეთ-იქით გადახედ-გადმოხედავ.

***– მაგიტომაც შემოდიან აქ ჩატაევები უპრობლემოდ.***

– ეს სხვა თემაა და ისევ საზღვრებს დავუბრუნდები. ევროპის ქვეყნებმაც კი გაამკაცრეს სასაზღვრო კონტროლი. ჩვენ რატომ არ უნდა გავამკაცროთ? სხვა თუ არაფერი, ჩვენ გარშემო ყველგან ომი და უბედურებაა. ასეთ ვითარებაში ჩვენ ვამარტივებთ და ვაიოლებთ სასაზღვრო კონტროლს.

ცალკე ფენომენია საკონტროლო-გამშვები პუნქტები. ისინი საპატრულო პოლიციას გადაეცა, რაც სრული აბსურდია. ევროპის ქვეყნებშიც შსს-ს ექვემდებარება სასაზღვრო ნაწილები, მაგრამ იქ სხვანაირად არის საქმე.

ძალიან მტკივნეულია ჩვენთვის საზღვრის ჩრდილოეთის ქედი. რუსეთს ეს საზღვარი განსაკუთრებულად ჰქონდა მოწყობილი. საქართველოდან გასვლის შემდეგ რუსეთი აღმოჩნდა კავკასიის ქედთან ე,წ. პირველ ეშელონთან.

სტავროპოლში შეიქმნა განსაკუთრებული სამხედრო ოლქი, სადაც არის განთავსებული 58-ე არმია. 58-ე არმია იქ ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს განათავსეს. შეხედეთ ახლა, რუსეთი რას შვრება – კავკასიონზე არსებული 43 უღელტეხილიდან 25-ს სრულად აკონტროლებს. ამას დაამატეთ როკის გვირაბი. ამ 25 უღელტეხილიდან აქეთაც არის გადმოწეული.



### როგორ აღმოჩნდა ჰუჯაბის მონასტერი სომხეთის ხელში

საქართველოში სასწრაფოდ უნდა იქნეს შემოტანილი მუხლი სამშობლოს ღალატის შესახებ. ამ მუხლს ხანდაზმულობის ვადა არა აქვს. ყველა უნდა გასამართლდეს, ვინც სამშობლოს უღალატა. აქ მნიშვნელობა არა აქვს, ეს შეგნებულად გააკეთა თუ უვიცობით.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ ღალატს აქვს ადგილი?***

– აბა რა არის. ამას უვიცობას ვერ დავარქმევ. დავუბრუნდები კავკასიონზე გადმოსასვლელებს. 25-ს, როგორც უკვე გითხარით, რუსები აკონტროლებენ. ახლა რუსები ამ ქედის გასწვრივ აკეთებენ პარალელურ გზას.

***– რისთვის?***

– ამ ქედის გასწვრივ რომ შეეძლოთ მოძრაობა. რამდენიმე თვის წინ ვთქვით, რომ დღეს ყველაზე მოწყვლადი ადგილი არის თრუსოს ხეობა და ის სასწრაფოდ არის მისახედი.

ამ განცხადებიდან ძალიან მალე ცხინვალის ხელისუფლებამ თრუსოზე გამოთქვა პრეტენზია. ამ ადგილის ოსურობის დასადასტურებლად მე-19 საუკუნის საფლავებს იშველიებენ. მათთვის პასუხის გაცემა თუ არ შეუძლიათ, აიღონ ვახტანგ ითონიშვილის ნაშრომი „დვალები და დვალეთი“. იქ ყველაფერი კარგად არის დაწერილი და ყველა კითხვას პასუხი გაეცემა.

ასე თუ გააგრძელეს მაგათ თრუსოს ხეობის დაჩემება და პასუხი არ გავეცით, გადავლენ ჯვრის უღელტეხილზე, წავლენ და წავლენ ხევსურეთისკენ, მიადგებიან დათვიჯვრის უღელტეხილს და პირიქითა ხევსურეთიც ჩვენი საზღვრის მიღმა დარჩება.

***– პირიქითა ხევსურეთის დაკარგვა რეალურია?***

– ასე თუ გაგრძელდა, პირიქითა ხევსურეთიც შეიძლება რუსეთის ხელში აღმოჩნდეს. ამაზე რატომღაც არავინ საუბრობს, რაც ქვეყნისთვის დამღუპველია.

***– იქნებ იმიტომ დუმან, რომ ყველაფრის თქმა არ შეიძლება?***

– ბუნებრივია, არსებობს საკითხები, რომლებზეც ხმაურიანად არ უნდა ილაპარაკო. დარწმუნებული ვარ, კომპეტენტური უწყებები ამ საკითხებზე მუშაობენ.

სასაზღვრო ძალების ყოფილ სარდალ ვალერი ჩხეიძესთან ერთად გვქონდა ძალიან საინტერესო იდეა – სასაზღვრო დასახლებების შესახებ. იქ ვეტერანები უნდა დაგვესახლებინა. დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, აუცილებელია, თრუსოში სასწრაფოდ შეიქმნას საგანგებო, ჩრდილოეთის მიმართულების სასაზღვრო ოლქი. დისლოკაციის ადგილი უნდა იყოს თრუსოს ხეობა. იქ უნდა იყვნენ ნებაყოფლობითი რეზერვისტები. აქვე უნდა შეიყვანონ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სასაზღვრო რაზმები.

ძალიან დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ აფხაზეთთან რკინიგზის გახსნის საკითხს. აფხაზების გარდა, ამ რკინიგზის ამოქმედებას სომხებიც ითხოვენ. ეს რკინიგზა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაიხსნას.

***– გეთანხმებით, რომ ეს რკინიგზა არ უნდა გაიხსნას, მაგრამ იქნებ უთხრათ ჩვენს მკითხველს, რატომ? ბევრი ფიქრობს, რომ მისი ამოქმედება ცუდი არ იქნება.***

– აქ არც რკინიგზა უნდა აღდგეს და არც რამე სახის სხვა მიმოსვლა. ეს გახლავთ სადემარკაციო ხაზი. ეს რკინიგზა მხოლოდ ერთ შემთხვევაში გაიხსნება – აფხაზეთში ქართველი დევნილები უნდა დაბრუნდნენ.

მესმის, რომ არც ის შეიძლება, სომხეთი ბლოკადაში მოაქციო და დატოვო ის მიმოსვლის გარეშე. არსებობს შესანიშნავი გამოსავალი – მახაჩყალის მხრიდან ბეშთამდე მოყვანილია საავტომობილო გზა. საუბარია ყვარლის მომიჯნავე ტერიტორიაზე. აქ საკონტროლო-გამშვები პუნქტის გახსნას რუსეთის პრემიერი ვიქტორ ჩერნომირდინი ჯერ კიდევ 1997 წელს გვთხოვდა.

საერთაშორისო სამართალი იცნობს ასეთ ტერმინს – საერთაშორისო სერვიტუტი. ასეთი რამ არის რუსეთსა და კალინინგრადს შორის, მიწა ეკუთვნის სხვა სახელმწიფოს, მაგრამ მოძრაობის უფლებით სარგებლობს ორი სახელმწიფო. ეს საერთაშორისო სერვიტუტის ამოქმედება შეიძლებოდა, თუ ასეთი აუცილებლობაა სომხეთისთვის.

რუსეთთან ურთიერთობა არ გვაქვს, მაგრამ სასაზღვრო საკითხებზე უნდა დაველაპარაკოთ. ისე, ეს ურთიერთობაც აბსურდის დონეზეა – სახელმწიფოსთან მოლაპარაკებებს არ ვაწარმოებთ და ამ დროს მისი მოქალაქეები საქართველოში უვიზოდ შემოდიან.

ასევე უცნაურია, რატომ აქვს საქართველოს საგარეო ვალი. ქვეყანაში, სადაც ოქრო მოიპოვება, ასეთი რამე არ უნდა ხდებოდეს. არც ის მიმაჩნია გამართლებულად, საქართველოს ტერიტორიაზე ოქროს მადნის მოსაძებნად სხვადასხვა უცხოური კომპანიები რომ შემოიყვანეს. საქართველოში ძალიან ბევრი პროფესიონალი გეოლოგია და მათთვის მიენდოთ ეს საქმე.

# პეტრე მამრაძე: „მერკელი პუტინს არ უთმობს და ამიტომ ჩამოდის სამხრეთ კავკასიაში“

## ეს არის დემონსტრირება იმისა, რომ საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი დამოუკიდებელი, სუვერენული ქვეყნები არიან

გულიკო ბალაძე



რა მნიშვნელობას იძენს გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელის კავკასიასა და მათ შორის საქართველოში ვიზიტი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის ბერლინში მასპინძლობის შემდეგ? ამასთან დაკავშირებულ საკითხებზე პარლამენტის ყოფილი წევრი **პეტრე მამრაძე** „ახალ თაობას“ ესაუბრა.

***– ბატონო პეტრე, გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა საქართველოში ვიზიტის წინ პუტინს უმასპინძლა. რა მნიშვნელობას იძენს პუტინთან შეხვედრის შემდეგ მერკელის საქართველოში ვიზიტი?***

– ანგელა მერკელისთვის ეს არის რეგიონული ვიზიტი, რომელიც იწყება საქართველოში და გრძელდება სომხეთსა და აზერბაიჯანში. ქალბატონი მერკელის ვიზიტი მართლაც პოლიტიკურად მნიშვნელოვანია.

***– რა პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს?***

– კარგა ხანია, რაც რუსეთის პრეზიდენტი პუტინი ღიად, საჯაროდ ითხოვს რუსეთისაგან, რომ მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეზე (გარდა ბალტიის ქვეყნებისა, რომლებიც არიან ევროკავშირისა და ნატოს წევრები) დაუთმონ პოლიტიკური დომინირება, რომ რუსეთის გავლენა მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეზე სრული იყოს.

***– პოსტსაბჭოურ სივრცეზე გავლენა რუსეთს ხომ ისედაც აქვს? თუმცა, წინააღმდეგობები არსებობს, ცხადია.***

– ნახეთ უკრაინა, ბელორუსია. ბელორუსია რუსეთს თავის საქმეებში ცხვირს არ აყოფინებს და მწვავე განცხადებებს აკეთებს. ნახეთ ნაზარბაევის განცხადებები, რომელიც ამბობს, თუ ვინმეს უნდა სსრკ-ის აღდგენა, გიჟიაო და პოლონეთში მთელი დარბაზი ხარხარებდა.

***– თუმცა, პუტინმა მოახერხა, რომ კასპიის ზღვის ქვეყნების კავშირი შეექმნა.***

– პუტინი აცხადებდა, სსრკ-ის დაშლა გეოპოლიტიკური კატასტროფა იყოო. ახლა რუსეთში პუბლიკაციებია, სადაც აღნიშნავენ, ამ განცხადების შემდეგ პუტინმა აგერ თვითონ მოაწერა ხელი სსრკ-ის დაშლის დასრულებას, ვინაიდან ყველაფერი დათმოო.

***– ანუ კასპიის ზღვის ქვეყნების თანამშრომლობის კავშირი და მათთან გაფორმებული დეკლარაცია არაფერს ნიშნავს?***

– არაფერს ნიშნავს იმ მხრივ, რომ ეს რუსეთისთვის გავლენის გაზრდა კი არა, მისი მკვეთრი შემცირებაა. პუტინმა დათმო ის მოთხოვნები, რომლებიც ჰქონდა. ტყუილად კი არ აცხადებენ რუსი პოლიტოლოგები, ერთი მხრივ, პუტინი აცხადებს, რომ სსრკ-ის დაშლა გეოპოლიტიკური კატასტროფა იყოო, მეორე მხრივ, ამ სივრცეში გავლენების დათმობას თვითონ მოაწერა ხელიო.

კერძოდ, პუტინი იმასაც კი დასთანხმდა (რასაც ცოცხალი თავით არ თანხმდებოდა), მეზობელ ქვეყნებს შეეძლოთ, ერთმანეთთან რუსეთის ნების გარეშე გაეყვანათ ნავთობსადენი ან გაზსადენი. რუსეთი 22 წელიწადი ამას არ თმობდა, ახლა კი დათმო.

***– კასპიის ზღვის ქვეყნების კავშირი რომ შექმნეს, დოკუმენტებში ჩაწერეს, რომ მათ ტერიტორიაზე სხვა ქვეყნის სამხედრო ძალების განლაგება აკრძალულია. რუსეთმა ამას მიაღწია. ამით დასავლეთს, ფაქტობრივად, შუა აზიისკენ დერეფნის გაჭრა, რომელსაც გეგმავდნენ საქართველოს გავლით, უკვე შეზღუდული აქვს.***

– როდის ჰყავდა დასავლეთს კასპიის ზღვაში სამხედრო ძალები? ირანის გარდა იქ არავინ არის.

***– ირანის გარდა იქ არავინ არის, მაგრამ დასავლეთს ხომ უნდოდა საქართველოს გავლით შუა აზიის მიმართულებით სატრანსპორტო დერეფნის გაჭრა?***

– ეს იყო ფანტაზიები. რეალურად, პუტინმა დათმო. ამას წერენ რუსი პოლოტილოგები რუსულ საიტებზე. პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შეუძლიათ, რუსეთის ნების გარეშე ერთმანეთში მოილაპარაკონ, რაც უნდათ, ის გააკეთონ. ჯერ კიდევ 2014 წელს კოზირევი ეუბნებოდა ბრიტანეთის ელჩს, არავითარი უფლება არ გაქვთ ნავთობისა და გაზის მოპოვებაზე აზერბაიჯანთან ხელის მოწერის, რადგან ეს რუსეთის ნავთობიაო. შეადარეთ მაშინდელი მდგომარეობა და დღევანდელი.

***– ანუ პუტინი მოითხოვდა პოსტსაბჭოთა სივრცეზე დომინირებას, მაგრამ დათმო?***

– პუტინმა დასავლეთის მიმართ თავისი მოთხოვნა, პოსტსაბჭოთა სივრცეზე (გარდა ბალტიის ქვეყნებისა) დომინირება მთლიანად დაეთმო, ღიად წამოაყენა მიუნხენის ცნობილ უშიშროების კონფერენციაზე. შემდეგ არაერთხელ თქვეს, ზომებს მიიღებდა, მაგრამ არ გვჯეროდა. გვეგონა, ეს იყო პროპაგანდა, პოლიტიკური ბაქიბუქი.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# სანდრო ბრეგაძე: „ოცნება“ სალომე ზურაბიშვილს უკვე შეუთანხმდა“

ნონა ცაბაძე



„ახალი თაობის“ კითხვებს ქართული მარშის ერთ-ერთი ლიდერი **სანდრო ბრეგაძე** პასუხობს.

***– ბატონო სანდრო, თქვენ საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად ასეთი ანონსი გააკეთეთ, კარტები უკვე დაწყობილია, იქნება მეორე ტური ზურაბიშვილსა და ვაშაძეს შორის და ზურაბიშვილს გაიყვანენო. თუმცა, ვრცელდება ინფორმაციები, რომ ზურაბიშვილი არ იქნება „ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი კანდიდატი, რადგან არ აღმოჩნდა მათთვის მომგებიანი ფიგურა.***

– პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურა ნამდვილად არ არის „ოცნების“ კანდიდატურა.

***– აბა ვისი კანდიდატურაა?***

– „ქართულ ოცნებას“ დასავლეთიდან უბრძანეს, რომ მათ არ დაეყენებინათ გუნდის შიგნიდან კანდიდატურა. შემდეგ „ოცნება“ იძულებული გახდა, მასზე მიტმასნილი წევრებისგან ამოერჩია ოპტიმალური ვარიანტი და ამოარჩიეს სალომე ზურაბიშვილი. სალომე ზურაბიშვილი არაადეკვატური პიროვნებაა. ეს ადამიანი არის დროსა და სივრცეში დაკარგული. არც მისი წარსული საქმიანობა, არც აწმყო და არც მომავალი ხედვები არ გამოხატავს ქართველი ერისა და ჩვენი მოსახლეობის ინტერესებს. შესაძლოა, „ოცნების“ ნაწილმა ეს კარგად იცის და ამით ძალიან უკმაყოფილოცაა, მაგრამ „ოცნებაში“ გადამწყვეტი ბიძინა ივანიშვილის პოზიციაა.

***– მოსახლეობის დიდ ნაწილსაც მიაჩნია, რომ ხელისუფლებამ სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურას მხარი არ უნდა დაუჭიროს.***

– კი ბატონო, უკმაყოფილება შეიძლება იყოს, თუმცა მეც ვიყავი „ოცნების“ ხელისუფლებაში და ძალიან კარგად ვიცი, რომ ბიძინა ივანიშვილი ამბობს საბოლოო სიტყვას და ვერავინ ეწინააღმდეგება მას. ეს დანარჩენები, ვინც იქ არიან თავმოყრილი, უმრავლესობის ლიდერი, პარლამენტის თავმჯდომარე, არიან ჩვეულებრივი წურბელები, რომლებიც სხედან საქართველოს მოსახლეობის კისერზე და სწოვენ სისხლს. ბიძინა ივანიშვილის სიტყვა არის პირველი და უკანასკნელი. აქედან გამომდინარე, ზურაბიშვილის კანდიდატურა დგას და იდგება ბოლომდე.

***– ფიქრობთ, აღარაფერი შეიცვლება?***

– აქ კარტები უკვე დალაგებულია. ჩვენ შეგვიძლია, აღარ ვიდარდოთ საპრეზიდენტო არჩევნებზე, რადგანაც სალომე ზურაბიშვილისა და ვაშაძის მეორე ტური გარანტირებულია და შემდგომში მიხეილ სააკაშვილი, როგორც არაერთგზის მომხდარა, დააანონსებს აპოკალიფსს, საქართველოში ჩამოსვლას და ხალხი, რომელიც, შესაძლოა, ვერ იტანს სალომე ზურაბიშვილს, იძულებული იქნება, იმის შიშით, რომ სააკაშვილი და მისი მანიაკალური ბანდა არ დაბრუნდეს საქართველოში, ხმა მისცეს ზურაბიშვილს ვაშაძის წინააღმდეგ. გაინაწილებენ პირველ-მეორე ადგილს და გააგრძელებენ ისე ბედნიერად ცხოვრებას, როგორც აქამდე ცხოვრობდნენ.

***– რატომ ზურაბიშვილი? ხომ შეიძლებოდა, უფრო მომგებიანი ფიგურა მოეძებნათ, „ოცნებისთვის“ მომგებიანი?***

– პირდაპირ ვთქვათ, რომ არც გუნდში ჰყავთ ფიგურა და არც გუნდის გარეთ, მით უმეტეს, რომ უცხოეთიდან აუკრძალეს, „ქართული ოცნების“ გუნდიდან ყოფილიყო წარმოდგენილი საპრეზიდენტო კანდიდატი.

***– ანუ ეს დირექტივა იყო დასავლეთიდან?***

– რა თქმა უნდა! გადახედეთ დღევანდელ თუნდაც საპარლამენტო ხელისუფლებას და დაინახავთ, რომ იქ ფიგურა კი არა, პიროვნება არ არის არავინ! ესენი არიან, უბრალოდ, არსებები. პარლამენტის თავმჯდომარე კომიკური ფიგურაც არ არის. ის არის თოჯინა. ასევეა ჩუგოშვილი, მდინარაძე და დანარჩენები. ამათი შემხედვარე, ვინ შეიძლება ამოარჩიო საპრეზიდენტო კანდიდატად?!

დღეს რომ წარმოდგენილი იყოს ვინმე ღირსეული კანდიდატურა, ვერც ვაშაძე მოიპოვებს წარმატებას და ვერც ზურაბიშვილი, მით უმეტეს, რომ სალომე ზურაბიშვილი არის ადამიანი, რომელსაც სისხლში აქვს ხელები გასვრილი!

***– ვის სისხლში?***

– ეს არის ადამიანი, რომელმაც საკმაოდ დიდი ზიანი მიაყენა ქართულ სახელმწიფოებრიობას, როდესაც თენგიზ კიტოვანთან, თენგიზ სიგუასთან და ჯაბა იოსელიანთან ერთად ებრძოდა კანონიერ ხელისუფლებას 1991-92 წლებში. ის და მისი მეუღლე გახდნენ აგიტატორები მაშინდელი პუტჩისტური ხელისუფლებისა. ისინი სხვებთან ერთად ამზადებდნენ ნიადაგს ზვიად გამსახურდიას დამხობისთვის და დასავლეთს ამზადებდნენ ამისთვის.

***– ეს ხომ არ არის მიზანმიმართული ანტიპიარი?***

– რას ბრძანებთ, ამის დოკუმენტებიც არსებობს. ამიტომ ადამიანის, რომელსაც კანონიერი პრეზიდენტის დამხობაში აქვს მონაწილეობა მიღებული და შემდგომში მის მკვლელობას ტაშს უკრავდა, პრეზიდენტად არჩევა ელემენტარულად, არის სირცხვილი!

თუმცა, მეორე მხრივ, ვინ არის? მეორე მხარეს არის ვაშაძე! სააკაშვილის ყურმოჭრილი მონა, რუსეთის სპეცსამსახურების აგენტი! როდესაც ასეთი არჩევანის წინაშე დგება ამომრჩეველი, მას არჩევანის გაკეთება უწევს ძროხისა და ღორის ფეკალიას შორის. ზოგს ღორის ფეკალია ურჩევნია, ზოგს – ძროხის. ჩვენ კი საქართველოს პრეზიდენტად შეგვრჩება მოღალატე, უავტორიტეტო და ურეიტინგო ადამიანი.

***– „ოცნებას“ ძალიან გაუჭირდება ზურაბიშვილის გაყვანა და, როგორ ფიქრობთ, გაყალბებაზე წავა?***

– ამხელა ადმინისტრაციული რესურსია მობილიზებული და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება გაყალბებაა. ასევე ფინანსური მხარდაჭერაა საკმაოდ დიდი. ასევე იქნება დიდი საინფორმაციო მხარდაჭერა. ტელევიზიებიც გაიყო ორ ნაწილად, ერთია ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერი ტელევიზიები, ხოლო მეორე სალომე ზურაბიშვილს გააპიარებს.

ეს არათანაბარ პირობებში აყენებს სხვა კანდიდატებს. მოკლედ, ეს არის დიდი ფარსი, რომელშიც ადამიანები მონაწილეობენ.

***– იმდენი ნეგატივი დააგროვა ამ მოკლე პერიოდში სალომე ზურაბიშვილმა, რომ შესაძლოა ბოლო წუთს გადაიფიქროს ხელისუფლებამ მისთვის მხარდაჭერა. რამდენად უშვებთ ამას?***

– „ოცნება“ თუ გადაწყვეტს ნაციონალებისთვის ხელისუფლების გადაბარებას, მაშინ ასე მოიქცევა, მაგრამ მე ნაკლებად მგონია ეს ამბავი, იმიტომ რომ, როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი, შეთანხმება უკვე შედგა „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობასა და სალომე ზურაბიშვილს შორის. დღეს ამ რეალობის წინაშე დაგვაყენეს, რომ მეც კი იმაზე ვსაუბრობ, რომ თუ ზურაბიშვილი არ იქნება, მაშინ სააკაშვილი ბრუნდება. ჩვენს მოსახლეობას სხვა არჩევანს არ უტოვებენ.

***– ანუ ოპოზიციის სხვა კანდიდატებს შანსი არ აქვთ? მეორე ადგილისთვის იბრძვის ნაციონალური მოძრაობა?***

– რა თქმა უნდა! ყველა არჩევნებზე ასე არ იყო?! საკუთარი დანაშაულის გადასაფარად მათ სჭირდებათ პოლიტიკურ ასპარეზზე ყოფნა და იმის დაფიქსირება, რომ ისინი არიან პირველი და ყველაზე მძლავრი ოპოზიციური ძალა. ამ არჩევნებზე ამას კიდევ ერთხელ დააფიქსირებენ.

„ოცნებამ“ დღეს ბოკერია გაიხადა ყველაზე წონად და გულმხურვალე მხარდამჭერად. 2012 წელს ამას ვინ იფიქრებდა?! ან რა საკადრო პოლიტიკა აქვთ, შეხედეთ, ვის ნიშნავს „ოცნება“ გუბერნატორებად!

***– პრემიერმა 7 ახალი გუბერნატორი წარადგინა. იწუნებთ მის გადაწყვეტილებას?***

– საერთოდ რაზე უნდა ვილაპარაკოთ, როდესაც შიდა ქართლის გუბერნატორად დანიშნეს ბაჩო ახალაიასა და ხათუნა კალმახელიძის უახლოესი მეგობარი, რომელიც გლდანის ციხის კარანტინში პატიმრების წამებისა და გაუპატიურების დროს სასჯელაღსრულების სამინისტროს უმაღლესი თანამდებობის პირი იყო, დეპარტამენტის უფროსი.

მაინტერესებს, პატივცემულო ხელისუფლებავ, კასტილიან მანიაკს როდის დანიშნავთ გუბერნატორად?! დღეს სახეზე გვაქვს საკმაოდ დიდი მარაზმი, რომელშიც მთელი ჩვენი ქართული სახელმწიფოებრიობა იხრჩობა და კაციშვილი მშველელი არ არის. დასცინიან მოსახლეობას. მათთვის ჩვენი მოსახლეობა არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს.

# პეტრე მამრაძე: „მერკელი პუტინს არ უთმობს და ამიტომ ჩამოდის სამხრეთ კავკასიაში“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

შემდეგ რუსეთი შეუდგა თავისი ნათქვამის შესრულებას – 2008 წელს პირველად ევროპაში მოახდინა ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაცია და მათი დამოუკიდებელ ქვეყნებად გამოცხადება. ვგულისხმობ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს. ამან განსაკუთრებით იმოქმედა დასავლეთზე.

***– ეს რუსეთის ერთგვარი პასუხიც იყო კოსოვოს გამო დასავლეთის მიმართ.***

– არავითარ შემთხვევაში. ყოველ შემთხვევაში, ჩეკისტები ამას ამბობენ, მაგრამ კოსოვოში რუსეთი მთლიანად ჩართული იყო პროცესში. გაიხსენეთ, აეროპორტი რომ აიღეს ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე და ამაზეც არ ამოიღო ხმა.

***– თუმცა, რუსეთმა ღიად განაცხადა, თუ კოსოვოს აღიარებთ, ჩვენ ვაღიარებთ ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთსო.***

– ნახეთ, როგორია ჩეკისტური მიდგომები, როდესაც კოსოვოში გაეროს ეგიდით (რუსეთი გაეროს წევრი ქვეყანაა) ჩატარდა თავისუფალი, სამართლიანი არჩევნები, რასაც წინ უძღოდა ლტოლვილების უსაფრთხო, ღირსეული დაბრუნება. მაშინ ყველა ამბობდა, ეს სქემა რომ განხორციელდეს აფხაზეთში, მაშინ აფხაზეთი გახდება საქართველოს განუყრელი ტერიტორია, რადგან, თუ იქ მოხდება კოსოვოს მსგავსად ლტოლვილების ღირსეული, უსაფრთხო დაბრუნება და მერე ჩატარდება თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები, განაცხადებენ, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ტერიტორიაა. ეს არის რეალობა. ჩეკისტური რეალობა კი სხვაა.

***– რუსეთის პრეტენზიები გასაგებია.***

– მიუნხენის კონფერენციაზე პუტინის განცხადებას დასავლეთმა კატეგორიულად არ დაუჭირა მხარი, შეუთვალეს, სად აქვს რუსეთს ეს ძალაო. ამის შემდეგ შემოვარდა საქართველოში, მოახდენა ტერიტორიების ოკუპაცია და მათი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოცხადება. შემდეგ პუტინმა მოახდინა ყირიმის ანექსია მაშინ, როცა რუსეთს ხელი აქვს მოწერილი უკრაინის უსაფრთხოების დაცვაზე ამერიკასთან და ბრიტანეთთან ერთად, რომელსაც შემდეგ შეუერთდნენ საფრანგეთი და ჩინეთი, ანუ გაეროს უშიშროების საბჭოს ყველა წევრი. ამ ხელმოწერით რუსეთი თვითონ გამოდიოდა უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის გარანტად, რაც პუტინმა დაარღვია.

ამის შემდეგაც კატეგორიულად მოითხოვდა დომინირებას პოსტსაბჭოთა სივრცეში, რაც რუსული მარაზმია, რადგან აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ამ გავლენით რუსეთი მხოლოდ ფულს ხარჯავს, იქით ყირიმს ინახავს თავისი ბიუჯეტით. დასავლეთისთვის ყოვლად გაუგებარია, რა ხეირი აქვს რუსეთს ამ გავლენებით, მილიარდებს რომ ხარჯავს, მაგრამ ასეთია ფანტაზია.

ამ ფონზე, ყირიმის ანექსიის შემდეგ, დასავლეთმა მიიღო გადაწყვეტილება, რუსეთს ნამდვილი სანქციები დაუწესოს. 2008 წელს, აგვისტოს ომის შემდეგ, არავითარი სანქციები დასავლეთმა რუსეთს არ დაუწესა, უფრო მეტიც, გადაწყვიტეს, გადატვირთვის პოლიტიკისთვის მიემართათ.

მოფერებისა და დაშოშმინების პოლიტიკას დაადგნენ, მაგრამ მიიღეს ყირიმის ანექსია და პრობლემები უკრაინის აღმოსავლეთში. ამიტომ ახლა სრულ სანქციებზე გადავიდნენ, მით უმეტეს, როდესაც გამოვლინდა პუტინის ჩეკისტური რეჟიმის მოქმედებები, სუვერენული ქვეყნების ტერიტორიებზე ადამიანების მოწამვლები, თვითმფრინავების ჩამოგდებები (რაც დაუმტკიცდა), სირიაში რუსული სამხედრო მანქანის მოქმედებები, სანქციები გარანტირებული აქვს.

***– დასავლეთის სანქციები რუსეთს სერიოზულ ზიანს აყენებს?***

– რუსეთს დასავლეთის სანქციებით სერიოზული ზიანი ადგება, რადგან ასობით მილიარდი გაიტანეს რუსმა ბიზნესმენებმა რუსეთიდან საზღვარგარეთ და დასავლეთში დააბანდეს. სხვანაირად მათთვის საქმის კეთება შეუძლებელია. ეს რუსეთისთვის მომაკვდინებელი დარტყმაა.

***– თუმცა, ამ ფონზე გერმანიას რუსეთთან 50 მილიარდის სავაჭრო ბრუნვა აქვს.***

– ძალიან კარგია, ამას უნდა მივესალმოთ. მერკელი, რომელიც არის პრაგმატიკოსი პოლიტიკოსი (მას ევროპის დედასაც ეძახიან) და მეოთხე ვადით არის კანცლერი, ყოველთვის არა ემოციურ და სპონტანურ, არამედ თანამიმდევრულ, პრაგმატულ პოლიტიკას ახორციელებს. ცნობილია, რომ მისმა კატეგორიულმა პოზიციამ გადაგვარჩინა. ის გმობდა სააკაშვილის მოქმედებებს.

ჯერ კიდევ 2008 წლის გაზაფხულზე მერკელი ამბობდა, რომ არ შეიძლება სააკაშვილისთვის მაპის მიცემა, როგორც ბავშვისთვის არ შეიძლება ასანთის ჩაბარება, მაშინვე ხანძარს მოაწყობსო. კიდევაც მოაწყო სააკაშვილმა ხანძარი. მერე კი თქვეს, მერკელი მართალი ყოფილაო. მერკელმა კატეგორიულად უთხრა პუტინს, რომ მიუღებელი იქნებოდა თბილისის აღება და, თუ რუსეთი ამას გააკეთებდა, მაშინ სულ სხვანაირად იმოქმედებდა.

***– ახლა პუტინთან შეხვედრისას მერკელის პოზიცია როგორი იქნებოდა?***

– ახლა მერკელისა და პუტინის შეხვედრაზე სამხრეთ კავკასიაზე იქნებოდა საუბარი. სომხეთში სრულიად სხვა რამ ხდება. გენერალი დააპატიმრეს და შემდეგ გამოუშვეს. იქ ამგვარი პროცესები მიმდინარეობს, თუმცა პაშინიანი ამბობს, საგარეო პოლიტიკას არ შევცვლით, მაგრამ გვაცალეთ, რომ ქვეყანაში კანონის უზენაესობა აღვადგინოთო.

***– პაშინიანი დანიშნეს თუ არა, მაშინვე პუტინს სოჭში ეახლა.***

– რა თქმა უნდა. მანამდეც, მიტინგებს რომ ატარებდა, ეს პრაგმატიკოსი, რეალისტი პოლიტიკოსი პაშინიანი ამბობდა, რომ ის მიტინგები არავითარ შემთხვევაში რუსეთთან ამათი ურთიერთობის წინააღმდეგ არ იყო მიმართული. რუსეთი რჩება სომხეთისა და ყარაბაღის უსაფრთხოების გარანტად. პაშინიანი სულ ამბობდა ამას და მაშინვე წავიდა პუტინთან შესახვედრად. ეს მხოლოდ მისასალმებელია. ეს განსაზღვრავს ეროვნულ უშიშროებას.

***– ე.ი. საბოლოოდ მერკელი პუტინს არ უთმობს?***

– მერკელი პუტინს არ უთმობს და ამიტომ ჩამოდის სამხრეთ კავკასიაში. ეს არის დემონსტრირება იმისა, რომ საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი არიან დამოუკიდებელი, სუვერენული ქვეყნები. ჩვენ არ ვცნობთ რუსეთის პრეტენზიას, რომ მას განსაკუთრებული უფლება აქვს შენარჩუნებული ამ ქვეყნების მიმართ იმის გამო, რომ ოდესღაც იყვნენ საბჭოთა იმპერიაში. ეს ქვეყნები დამოუკიდებლები არიან და ჩვენ, გერმანიას (ევროპის უძლიერეს ქვეყანას ეკონომიკურად), ბრიტანეთსა და საფრანგეთს გვინდა სამხედრო თანამშრომლობა, ინსტიტუციური მშენებლობა არა რუსეთის ინტერესების საწინააღმდეგოდ, მაგრამ, როგორ ვითანამშრომლებთ, რუსეთს არ ვეკითხებით.

***– გერმანია იყო ერთ-ერთი ქვეყანა საფრანგეთთან ერთად, რომელმაც საქართველოს მაპის მიღებაზე 2008 წელს უარი უთხრა, რასაც მოჰყვა რუსეთის მხრიდან ომი.***

– არავითარ შემთხვევაში, 2008 წელს საქართველოს ნატოში მიღებაზე საერთოდ ლაპარაკი არ იყო. მაპი არაფერი არ არის, არ აძლევს არავითარ გარანტიას.

***– მაპზე უარის თქმით თავში აუვარდა პუტინს და ომში ჩაითრია სააკაშვილი.***

– მედვედევმა მაშინ თქვა, კიდევ კარგი, დასავლეთმა ის მაინც მოიფიქრა, რომ საქართველოს მაპი არ მისცა, თორემ ჩვენი რეაგირება გაცილებით ხისტი იქნებოდაო, ანუ თბილისს ნამდვილად აიღებდნენ.

***– მაპი შეიძლებოდა ყოფილიყო რუსეთის შეჩერების საშუალება.***

– არ გეწყინოთ, ეს აზრი რეალობას ძალიან არის მოწყვეტილი, სინამდვილეში ცხვირწინ წითელ ნაჭერს რომ უფრიალებენ, ხარი კი არ ჩერდება. ბევრი კარგი ექსპერტი ვიცი, რომლებიც ამბობენ, კიდევ კარგი, მაპი არ მოგვცეს, თორემ რუსეთი უფრო აგრესიულად იმოქმედებდაო. სხვა საკითხია, რომ სააკაშვილი ბიძამისთან და სხვებთან ერთად პუტინის ნამდვილი გოშია და ბოლომდე შემსრულებელი იყო.

ახლა მერკელს მოჰყავს ბიზნესმენები, რაც მნიშვნელოვანია. იქნება სხვადასხვა კონკრეტულ საკითხებზე საუბარი, მაგრამ მთავარი და ძირითადი არის ის, რომ პუტინთან შეხვედრის შემდეგ მერკელი პირდაპირ მოდის სამხრეთ კავკასიაში იმის პოლიტიკური დემონსტრაციისათვის, რომ არც დასავლეთი, არც ევროპა და არც ნატო, ამ შემთხვევაში გერმანია, არ ცნობს პუტინისა და რუსეთის ჩეკისტური რეჟიმის რამე განსაკუთრებულ უფლებას საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანზე, არამედ ცნობს ამ ქვეყნების დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს და მომავალშიც მხარს დაუჭერს. გარდა ამისა, მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და რუსეთისაგან მოითხოვს, დაბრუნდეს 8 აგვისტოს მდგომარეობით არსებულ საზღვრამდე.

# თამარ ჩხეიძე: „ივანიშვილი ზურაბიშვილის კანდიდატურას თავისით არ წამოაყენებდა“

მარიამ მჭედლიშვილი

„ქართული ოცნების“ პოზიციამ საპრეზიდენტო არჩევნებისადმი დააბნია საქართველოს საზოგადოება. დამოუკიდებელი, ჯერ არდარეგისტრირებული კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილის მიმართ ზოგჯერ სოლიდარულმა და ზოგჯერ კრიტიკულმა გამონათქვამებმა გააჩინეს აზრი, რომ „ოცნებას“ შეიძლება სხვა დამოუკიდებელი ფავორიტი ჰყავდეს.

ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატსა და დისიდენტ თამარ ჩხეიძეს.

**თამარ ჩხეიძე:**

– მაშინ, როცა ჯერ მხოლოდ მითქმამოთქმა იყო მმართველი პარტიის მხრიდან სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურის მხარდაჭერაზე, ვამბობდი, რომ თუ ეს მართალია, ბიძინა ივანიშვილის ინიციატივა არ უნდა იყოს-მეთქი.

***– ახლაც ასე გგონიათ?***

– რასაკვირველია. ივანიშვილი ზურაბიშვილის კანდიდატურას თავისით არაფრით წამოაყენებდა. მე, ისევე, როგორც ბევრი სხვა, კარგი წარმოდგენის არ ვარ სალომე ზურაბიშვილზე. ამის მიზეზი მისი ანტისახელმწიფოებრივი განცხადებები და შეფასებებია, ბიძინა ივანიშვილი კი მას სულ სხვა მიზეზით იწუნებს. ივანიშვილი ვერ იტანს ამბიციურ ადამიანებს, მათ, ვისაც საკუთარი ბიოგრაფია და თავისი სახელი (ცუდი ან კარგი) აქვს დამკვიდრებული.



იმაზე, რაც სალომე ზურაბიშვილმა 2008 წლის ომთან დაკავშირებით თქვა, ივანიშვილსაც ულაპარაკია. ორივეს მიაჩნია, რომ ეს ომი საქართველომ დაიწყო, რაც აბსურდული და ანტისახელმწიფოებრივია. ზურაბიშვილმა ამ ომის შემდეგ ფრანგულ ენაზე წიგნიც გამოსცა, სადაც ეს მოსაზრებებია გავრცობილი. სალომე ზურაბიშვილის ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე დიდი წარმოდგენის არა ვარ, თუმცა, ეს პიროვნება არც სულელად მიმაჩნია. ამიტომ, დარწმუნებული ვარ, რომ ეს მან დავალებით გააკეთა.

***– ვისი დავალებით?***

– პუტინისა და რუსეთის სპეცსამსახურების დავალებით. ივანიშვილსაც რუსეთმა მიუთითა, რომ მხარი დაეჭირა მისი კანდიდატურისათვის. რუსეთის სპეცსამსახურები მისი პერსონით ადრევე დაინტერესდნენ. ზურაბიშვილის ქართული ფესვები, კარგი ოჯახი, დიპლომატიური სამსახური და პროდასავლური იმიჯი იყო ის, რაც რუსეთისთვის ზედგამოჭრილი აღმოჩნდა. მათ ახლაც იაქტიურეს და მოითხოვეს ზურაბიშვილის კანდიდატად დასახელება.

***– „ქართული ოცნება“ არ აცხადებს, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით, რომ მხარს სალომე ზურაბიშვილს უჭერს.***

– მმართველი გუნდი არ ჩქარობს თავისი პოზიციის გამოცხადებას. გუნდის შიგნით სალომე ზურაბიშვილზე მზე არავის ამოსდის, მათ შორის, არც ივანიშვილს. ეს ხალხი უცდის, რამდენად სკანდალური იქნება ზურაბიშვილის მოქმედებები. იდეოლოგიურად „ქართულ ოცნებასა“ და ზურაბიშვილს ერთმანეთთან უთანხმოება არ აქვთ. შეიძლება, საბოლოოდ ყველაფერი იმით დამთავრდეს, რომ ივანიშვილმა პუტინს შეუთვალოს, ზურაბიშვილის კანდიდატურა სკანდალებს იწვევს და გამსვლელი არ არისო. ამ ეტაპზე „ოცნებაში“ ფეხს ითრევენ და ბოლო მომენტამდე იცდიან. ღმერთმა ნუ ქნას, რომ სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტი გახდეს.

***– ის საშიში იქნება?***

– წარმოგიდგენიათ, რას ნიშნავს, როცა საქართველოს პრეზიდენტი 2008 წლის ომის დაწყებაში საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს ადანაშაულებს? ეს რუსეთის აგრესიის, რუსეთის პოლიტიკის გამართლება იქნება. მოსკოვის მიზანი სწორედ ეს არის. ქვეყნისთვის აჯობებს, თუ სალომე ზურაბიშვილი არჩევნებამდევე უარს იტყვის თავის გეგმებზე ან, უარეს შემთხვევაში, წააგებს არჩევნებს.

***– დავუშვათ, სალომე ზურაბიშვილი ადრევე გამოთიშა არჩევნებს ან დამარცხდა. რა გარანტია გვაქვს, რომ მმართველი პარტია არ მოძებნის სხვას, რომელიც მსგავს განცხადებებს აკეთებს?***

– ასეთის გამონახვა არ გაუჭირდებათ, მაგრამ სალომე ზურაბიშვილი უფრო სახიფათოა. მას იცნობენ. ზურაბიშვილს თავისი ბიოგრაფია აქვს. ერთია, როცა საშიშ განცხადებებს აკეთებს ცნობილი ზურაბიშვილი, და მეორეა, როცა ამას აკეთებს მარიონეტი, ცარიელი ადგილი. კარგი იქნება, თუ საზოგადოების ზეწოლით ზურაბიშვილი უარს იტყვის საარჩევნო კამპანიაზე და არ დაარეგისტრირებს თავის კანდიდატურას. საზოგადოების ზეწოლასა და მის შედეგებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება.



***– „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ძალიან უცნაურ განცხადებებს აკეთებენ პრეზიდენტის არჩევნებზე. პრეზიდენტს რომ შეკვეცილი უფლებები ექნება, ვიცით. მათი განცხადებებით, ამ არჩევნებს აზრი დაეკარგა. ხომ არ უნდათ არჩევნების ჩაშლა?***

– არა მგონია, ჩაშლა ჰქონდეთ დაგეგმილი. უბრალოდ, მმართველი პარტია განმარტავს, თუ რატომ არ აყენებს კანდიდატურას თავისი პარტიიდან.

***– იმათში, ვინც ზურაბიშვილის გარდა უკვე მონაწილეობს საპრეზიდენტო წინასაარჩევნო კამპანიაში, ძნელად შეიძლება ვინმეს უწოდო პროდასავლელი კანდიდატი.***

– მკვეთრად და გამოკვეთილად პროდასავლურს ვერც მე ვუწოდებდი ვინმეს. კარგი იქნებოდა, თუ ოპოზიცია არ დაიქსაქსებოდა, შეჯერდებოდა ერთ შეთანხმებულ და სანდო კანდიდატურაზე. ოპოზიციაში ვგულისხმობ პროდასავლურ ძალებს. პრორუსულები ოპოზიციად არ მიმაჩნია. ერთიანი კანდიდატის შემთხვევაში ხალხიც დაირაზმებოდა, აიწევდა მუხტი და გაჩნდებოდა გამარჯვების შანსი.

***– ახლა ხშირად არც იგრძნობა, რომ არჩევნები ახლოვდება.***

– ეს, ნაწილობრივ, ზაფხულის ბრალიცაა. შემოდგომის მოახლოება ტემპერატურასაც გაზრდის. მუხტი შეიძლება გარკვეულმა მოვლენებმაც ასწიოს.

***– რომელიმე ნამდვილად დამოუკიდებელი კანდიდატურის მხრიდან ტემპერატურის აწევა არ არის მოსალოდნელია?***

– შესაძლოა, გამოჩნდეს ღირსეული, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, მართლა დამოუკიდებელი კანდიდატურა და მას ხალხმაც დაუჭიროს მხარი, მაგრამ ნაკლებად მოსალოდნელია, რომ მას ჰქონდეს ზურგი და რესურსები. ამ ეტაპზე მისი გამარჯვება არარეალურია.

# რატომ ვერ იმუშავა კახეთის სტიქიის დროს სეტყვის საწინააღმდეგო სისტემამ

ორი დღის წინ კახეთის რეგიონში უამინდობამ პრობლემები შექმნა. კერძოდ, სტიქიის შედეგად ახმეტის რაიონის სამ სოფელში – ქისტაურში, ახშანსა და მატანში თითქმის სრულად განადგურდა ყურძნის მოსავალი. ამასთან, სტიქიამ დააზარალა თელავის მიმდებარე სოფლები შალაური, კისისხევი და ნასამხრალი.

კახეთის რეგიონს სეტყვის საწინააღმდეგო მომსახურებას ბუნებრივ მოვლენებზე აქტიური ზემოქმედების ცენტრი უწევს. „კომერსანტი“ დაინტერესდა, რატომ ვერ მოხერხდა კახეთის რეგიონში სეტყვის ღრუბლების დაშლა.



ბუნებრივ მოვლენებზე ზემოქმედების ცენტრის სპეციალისტი ნუგზარ კვესელია აცხადებს, რომ ასეთი დიდი მასშტაბის და მსგავსი ზომის სეტყვის მარცვლების შემცველი ღრუბლის მასების შემოსვლა კახეთის რეგიონში, სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის არსებობის პირობებში პირველად დაფიქსირდა. მისი თქმით, პროცესები კახეთის დასაცავი ტერიტორიების გარეთ დაიწყო, რის გამოც ცენტრმა მუშაობა სეტყვის წყვეტილობის მიმართულებით დაიწყო:

– პროცესებმა განვითარება დაახლოებით 18-20 კილომეტრზე, თუშეთის რეგიონში დაიწყო. ჩვენი დასაცავი ტერიტორიის გარეთ სეტყვა საშიშროებამ მესამე კატეგორიას მიაღწია. ჩვენი ტექნიკური შესაძლებლობის გამო ვერ მოხერხდა წინასწარი ზონის დამუშავება მისი განვითარების საწყის სტადიაში. ღრუბლის ჩვენი დანადგარების მოქმედების რადიუსში შემოსვლის პერიოდში სეტყვა საშიშროების კატეგორიამ უმაღლეს, მეოთხე კატეგორიას მიაღწია. აქედან გამომდინარე ჩვენი მეთოდიკით ზემოქმედება ჩატარდა არა სეტყვის აღკვეთაზე, არამედ სეტყვის წყვეტილობაზე, – აცხადებს ნუგზარ კვესელია.

ნუგზარ კვესელია განმარტავს, რომ ღრუბლის არაელში შემოვლის შემდეგ ზემოქმედება დროულად დაიწყო თუმცა, ადგილი ჰქონდა 18-წუთიან შეფერხებას რაც განპირობებული იყო სროლისთვის აკრძალული ზონების არსებობის გამო.

– სეტყვასაშიში კერების მთლიანი ფართობი, რომელმაც მოიცვა კახეთის რეგიონის 6 რაიონი, 15.000 ჰექტარს შეადგენდა. უშუალოდ ახმეტის რაიონში ვერ მოხერხდა მისი ლიკვიდირება, თუმცა, საშიშროება შევამცირეთ. რაც შეეხება თელავის რაიონს, საფრთხე დავიდა 2-დან მესამე შუალედურ კატეგორიაზე. დანარჩენ 5 რაიონში: საგარეჯოში, სიღნაღში, ლაგოდეხში, ყვარელში და გურჯაანში – ყველგან გვაქვს დადებითი შედეგი. რვა კერა იქნა დამუშავებული და რამდენიმე ასეული სეტყვის საწინააღმდეგო ნაწარმი იქნა გაშვებული, – განმარტავს ნუგზარ კვესელია.

2015 წელს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ნოდარ კერესელი ამბობდა, რომ არც ერთი სეტყვის საწინააღმდეგო სისტემა 100-პროცენტიანი ეფექტით არ მუშაობს თუმცა, ზარალს მნიშვნელოვნად 80 პროცენტით ამცირებს. ნუგზარ კვესელია კი აცხადებს, რომ ბუნებრივ მოვლენებზე ზემოქმედების ცენტრმა წელს 100- პროცენტიანი შედეგს მიაღწია.

– წლევანდელ სეზონზე უკვე დამუშავებული გვაქვს 215 სეტყვასაშიში კერა, აქედან მხოლოდ 15 კერაზე გვაქვს უარყოფითი შედეგი, ისიც სროლისთვის აკრძალული ზონების არსებობის გამო. გვაქვს სეტყვა საწინააღმდეგო ნაწარმების მარაგი. ოპერატიული ჯგუფები არიან 24-საათიან სრულ მზადყოფნის რეჟიმში. 100 პროცენტიანი პრევენცია ხდება მაშინ, როცა ზემოქმედება სეტყვასაშიშ კერაზე იწყება განვითარების ადრეულ, პირველ სტადიაზე. წლევანდელ სეზონზე პრაქტიკულად 98%-ზე მეტ შემთხვევაში განხორციელდა სეტყვასაწინააღმდეგო სროლები და აქედან, უმეტეს შემთხვევაში 100-პროცენტიანი დადებითი შედეგები გვქონდა, – აცხადებს ნუგზარ კვესელია.

მიმდინარე წელს ბუნებრივ მოვლენებზე ზემოქმედების ცენტრმა 238 სეტყვასაშიში კერა დაამუშავა და 4.000 ცალამდე ჭური გაისროლა. იყო შემთხვევები, როდესაც ჭურვი ქარხნული დეფექტის გამო მოქმედებაში ვერ მოვიდა. თუმცა, ცენტრში განმარტავენ, რომ ასეთი შემთხვევები დიდი ოდენობით არ დაფიქსირებულა. ნუგზარ კვესელია ამბობს, რომ სეტყვისგან დაზიანებული ტერიტორია შარშანდელთან შედარებით 4-ჯერ ნაკლებია.

კახეთის რეგიონს სეტყვასაწინააღმდეგო სერვისს სსსტც „დელტა“ უწევდა, მიმდინარე წლის აპრილში კი სეტყვის საწინააღმდეგო სისტემამ საცდელ ექსპერიმენტალურ რეჟიმში მუშაობა დაასრულა და ის სამართავად ბუნებრივ მოვლენებზე აქტიური ზემოქმედების ცენტრს გადაეცა. 2017 წლის განმავლობაში „დელტას“ სეტყვის საწინააღმდეგო სისტემამ 274 სეტყვასაშიში ზონა ჯამში 3.790 ერთეულამდე სეტყვასაწინააღმდეგო რაკეტით დაამუშავა.

ოფიციალური ინფორმაციით, ჩატარებული სეტყვის საწინააღმდეგო სამუშაოების ეფექტიანობამ 96,3% შეადგინა, ხოლო ეკონომიკური ეფექტიანობა 25.600.000 ლარი იყო.

**კომერსანტი**

# ეკატერინე მიქაბაძე: „უმუშევრობის შემცირება მთავრობის სწორ ეკონომიკურ პოლიტიკაზე მიუთითებს“



– ძალიან მნიშვნელოვანია, რომ 2018 წლის მეორე კვარტალში გაიზარდა როგორც ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის, ისე დასაქმებულთა რაოდენობა. ამასთანავე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა, რაც 45.7 ათასს შეადგენს, გამოწვეულია დაქირავებით დასაქმებულთა ზრდის ტენდენციით – აქ ჩვენ დაახლოებით 7%-იანი ზრდა გვაქვს, რაც ჩვენს ეკონომიკაში ახლადდასაქმებული 55.7 ათასი ადამიანია, – განაცხადა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ეკატერინე მიქაბაძემ.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 2018 წლის მეორე კვარტალში საქართველოში უმუშევრობის დონე 1.9 პროცენტული პუნქტით შემცირდა.

ეკატერინე მიქაბაძე ასევე მნიშვნელოვანს უწოდებს თვითდასაქმებულთა რაოდენობის შემცირების ფაქტს. მისი განცხადებით, ამან უკვე ტენდენციის სახე მიიღო.

– თვითდასაქმებულთა რაოდენობის კლება, მოგეხსენებათ, უკვე ტენდენციად ჩამოყალიბდა – მათი რიცხვი შემცირებულია როგორც წინა წელთან, ისე წინა კვარტალთან შედარებით. ამჟამად კი თვითდასაქმებულთა რაოდენობა, კერძოდ, 2018 წლის მეორე კვარტალში დაახლოებით 48%-მდეა შემცირებული მთლიანად დასაქმებულთა მაჩვენებელში, – აღნიშნა მინისტრის მოადგილემ. ეკატერინე მიქაბაძის განცხადებით, უმუშევრობისა და დასაქმების სტატისტიკა ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს საქართველოს მთავრობის სწორ ეკონომიკური პოლიტიკაზე, რომელიც მიმართულია მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირებისა და სამუშაო ადგილების შექმნისკენ.

**კომერსანტი**

# მთავრობა ცემენტის ადგილობრივი მწარმოებლების პრობლემას კვირის ბოლომდე გადაწყვეტს

მთავრობა ცემენტის ადგილობრივი მწარმოებლების პრობლემას კვირის ბოლომდე გადაწყვეტს. ამის შესახებ ინფორმაცია გუშინ ცემენტის ადგილობრივი მწარმოებლების საგანგებო პრესკონფერენციაზე გახდა ცნობილი.

ცემენტის მწარმოებლებმა შეხვედრაზე ადგილობრივი წარმოების წინაშე წარმოქმნილ პრობლემებზე გაამახვილეს ყურადღება. მათ პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძეს შექმნილი ვითარებიდან გამოსავლის კონკრეტული ხედვა შესთავაზეს და განაცხადეს, რომ ამ ხედვების არგაზიარების შემთხვევაში, ანუ ქარხნების მუშაობის გაჩერების, პრაქტიკულად, მათი დახურვის შემთხვევაში, ისინი ყველა კანონიერი საშუალების გამოყენებით მიმართავენ პროტესტის მძიმე ფორმებს და დაიცავენ მუშაობის საკუთარ უფლებას.



პრესკონფერენციის მიმდინარეობისას ცემენტის ადგილობრივმა მწარმოებლებმა პრემიერის ადმინისტრაციიდან მიიღეს შეტყობინება, რომ პრემიერმა გამოხატა დასმულ პრობლემებში გარკვევის მზადყოფნა და საკითხის დასარეგულირებლად მიმდინარე კვირის ბოლომდე პერიოდი დაასახელა. შედეგად ცემენტის ადგილობრივი მწარმოებლებმა 22 აგვისტოსთვის დაგეგმილი აქცია მინიმუმ ერთი კვირით გადადეს.

მათივე განცხადებით, ბაზარზე ვითარება ძალიან სწრაფად იცვლება უარესობისკენ. გაუგებარი მიზეზების გამო, ცემენტის წარმოებისთვის აუცილებელი იმპორტირებული ნედლეული – კლინკერი, საბაჟოზე განუსაზღვრელი ვადით არის გაჩერებული ხარისხის შემოწმების მიზეზით. ნედლეულის მოწოდების შეფერხების გამო კი უკვე გაჩერებულია ქარხნების უმრავლესობაც. ცნობილია, რომ მხოლოდ რამდენიმე დღის მარაგი აქვს 2-3 ქარხანას. მარაგის ამოწურვისთანავე ისინიც იძულებით გააჩერებენ წარმოებას.

– შემოწმების პროცედურა იკავებს, უკეთეს შემთხვევაში, მინიმუმ 28 დღეს, რაც იწვევს იმპორტიორების სატრანსპორტო საშუალებების მოცდენას (ვაგონები, სატვირთო ავტომანქანები) და ამ მოცდენისთვის განსაზღვრული სოლიდური საჯარიმო სანქციების ქვეშ მათ მოქცევას. ეს მათთვის იმდენად მძიმე ტვირთია, რომ მათ საქმიანობას აზრი პრაქტიკულად ეკარგება, – შედეგად ქარხნები ვრჩებით ნედლეულის გარეშე. ეს პირდაპირ იწვევს მცირე ქარხნების გაჩერებას, მოკლე დროში მათ ჯართად ქცევის პერსპექტივას და ჯამში 700-ზე მეტი ადამიანის უმუშევრად დარჩენას, – ნათქვამია ადგილობრივი მწარმოებლების განცხადებაში.

მათივე თქმით, ისინი მთლიანად დამოკიდებულნი არიან იმპორტირებულ ნედლეულზე, რამდენადაც კლინკერის ერთადერთი ადგილობრივი მწარმოებელი – „ჰაიდელბერგცემენტი“ ამ ეტაპზე ვერ იძლევა ხარისხიანი ცემენტის (კონკურენტუნარიანი პროდუქციის) წარმოებისთვის საჭირო ნედლეულს. ხოლო რიგ შემთხვევებში თუ იძლევა – იმდენად მაღალ ფასად, რომ წარმოება კონკურენტუუნარო ხდება და მუშაობა აზრს კარგავს.

– გიგანტი „ჰაიდელბერგცემენტი“ კი საკუთარივე ნედლეულით (კლინკერი) აწარმოებს საკუთარ პროდუქციას (ცემენტს) და აკონტროლებს ბაზრის 80%-ზე მეტს. ხოლო ბაზრის დანარჩენი ნაწილი, ჩვენ, – 20 ზე მეტი ქარხანა და იქ დასაქმებული, ჯამურად, 700-ზე მეტი ადამიანის სამუშაო დამოკიდებულია სწორედ იმპორტირებული კლინკერის შემოსვლის უწყვეტ ციკლზე. პრობლემის შექმნის დღიდან მოყოლებული, ლამის ერთი თვეა, ცალკე ჩვენ – მწარმოებლები და ცალკე კლინკერის იმპორტიორი კომპანიები ვცდილობთ საკითხი და მისი რეალური სიმწვავე მივიტანოთ გადაწყვეტილების მიმღებ უწყებებამდე და პირებამდე. თითქოს ეს მოხერხდა, მაგრამ რეალური შედეგი მაინც ვერ მივიღეთ. კერძოდ, ჩვენს ღია წერილს საჯაროდ გამოეხმაურა პრემიერ-მინისტრი, სახელმწიფო უწყებებთან მედიატორის როლი ითავა ბიზნესომბუდსმენმა. თითქოს მიკროშედეგი მივიღეთ. კერძოდ ის, რომ საბაჟოზე გაჩერებული და გზაში მყოფი ტვირთები, ერთჯერადი წესით, დაიშვა ბაზარზე შემოწმების გარეშე, თუმცა მალევე ეს პროცესიც შეწყდა, – აღნიშნავენ ცემენტის მწარმოებლები.

მათი თქმით, ბაზარს სჭირდება მკაფიო გადაწყვეტილებები და იმ წესების სასწრაფოდ შემუშავება, რომელთა მიხედვითაც უნდა იმოქმედოს ყველამ, მიუხედავად მისი სიდიდისა თუ ბაზრის პროცენტული წილის ფლობისა.

– ეს გადაწყვეტილებები ვერ მოიცდის, დროში ვერ გაიწელება და უსასრულოდ და გაურკვეველი ვადით ვერ გაგრძელდება მათ შემუშავება-მიღებაზე მუშაობის პროცესი. თუ ეს ასე მოხდა, ეს იქნება ჩვენთვის მკაფიო სიგნალი, რომ ჩვენ უბრალოდ არ გვეძლევა საქმიანობის განხორციელების უფლება და საშუალება... ამიტომ, მივმართავთ პირადად საქართველოს პრემიერ მინისტრს, ბატონ მამუკა ბახტაძეს – სასწრაფოდ გადაჭრას აღნიშნული პრობლემა, ისე, რომ არ დაზარალდეს არავის ინტერესი და პირიქით, საერთო ინტერესების საფუძველზე მოხდეს პროცესის განგრძობა, – აცხადებენ ცემენტის ადგილობრივი მწარმოებლები.

ცემენტის ადგილობრივი წარმოების შესანარჩუნებლად და სექტორის შეუფერხებლად მუშაობისთვის, მწარმოებლებმა შეიმუშავეს კონკრეტული ხედვებიც, რაც სასურველია, მთავრობამ გაითვალისწინოს. კერძოდ: ცემენტის წარმოებისთვის აუცილებელი ნედლეულის – კლინკერის განბაჟება ინვოისიდან (ანუ შეძენილი ფაქტობრივი ღირებულებიდან). ეს შედეგად მოიტანს საბოლოო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, შესაბამისად, სარეალიზაციო ფასის შემცირებას;

ხარისხზე შემოწმების მიზნით/მიზეზით/საბაბით კლინკერის საბაჟოზე გაჩერების (მინიმუმ 28 დღით) პრაქტიკის მოშლა. ხარისხზე შემოწმების გამო არ უნდა შეფერხდეს ნედლეულის იმპორტი. (მინიმუმ 28 დღით ტვირთების საბაჟოზე გაჩერება იწვევს სატრანსპორტო საშუალებების (ავაგონები/ავტომობილები) მოცდენას და იმპორტიორებისთვის შესაბამისი საჯარიმო სანქციების ქვეშ მოქცევას, რაც საბოლოოდ აზრს უკარგავს ნედლეულის იმპორტს და შედეგად იწვევს ადგილობრივი წარმოების სრულად გაჩერებას). გარდა ამისა, კლინკერის ხარისხზე შემოწმებას ობიექტურად, უბრალოდ აზრი არ აქვს, რადგან არ არსებობს კლინკერის ხარისხის სტანდარტი. მხოლოდ მარკიანობაზე შემოწმება კი არაფრისმომცემია, რამდენადაც თუნდაც უმაღლესი მარკიანობის კლინკერიდან ერთნაირი წარმატებით შეიძლება იწარმოოს, როგორც ხარისხიანი, ისე უხარისხო ცემენტი;

– ხარისხის კონტროლი უნდა გამკაცრდეს და განხორციელდეს საკუთრივ ცემენტზე და ეს უნდა განხორციელდეს უკლებლივ ყველა მწარმოებლისა თუ იმპორტიორის მიმართ, მიუხედავად მისი სიდიდისა თუ ბაზარზე პოზიციონირებისა.

რაც შეეხება იმპორტირებულ ცემენტს, რომლის მოძალებაც ხელს უშლის ცემენტის ადგილობრივი წარმოების მდგრადობას და განვითარებას. – ამ შემთხვევაში, სახელმწიფომ უნდ მიმართოს შემდეგ გზას – იმპორტირებული პროდუქცია უნდა განბაჟდეს ადგილზე საბაზრო ღირებულების (დაახლოებით 200 ლარი ტონაზე) სამმაგი ოდენობიდან, – მინიმუმ 600 ლარიდან. ეს მიდგომა შედეგად მოიტანს იმას, რომ ბაზარი პრაქტიკულად სრულად ისარგებლებს ხარისხიანი ადგილობრივი პროდუქციით, – მიაჩნიათ ცემენტის ადგილობრივ მწარმოებლებს.

მათივე მოსაზრებით, აღნიშნული ხედვები სრულ შესაბამისობაში მოდის სამთავრობო ეკონომიკური გუნდის მხრიდან დეკლარირებულ პოზიციასთან, რაც გულისხმობს ბაზრებზე თანაბარკონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას, შიდა ბაზრების დაცვასა და დასაქმების ხელშეწყობას.

ცემენტის ადგილობრივმა მწარმოებლებმა პრესკონფერენციაზე პრემიერს საკითხის გადაწყვეტა 21 აგვისტოს ჩათვლით სთხოვეს.

– იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა ჩვენს პრობლემას აღნიშნულ გონივრულ ვადაში ვერ გადაწყვეტს, ჩვენ სხვა გზა არ გვრჩება, მივმართავთ პროტესტის კანონით დაშვებულ უკიდურეს ფორმებს. დავიწყებთ იმით, რომ 22 აგვისტოს სახელმწიფო კანცელარიის წინ მდებარე მოედანზე შეიკრიბება ჩვენს წარმოებაში დასაქმებული 700- ზე მეტი ადამიანი თავისი ოჯახის წევრებითურთ და ამ გზით ვეცდებით ჩვენი სამართლიანი მოთხოვნის პრემიერისა და მთლიანად მთავრობის ყურამდე მიტანას, – განაცხადეს ცემენტის ადგილობრივმა მწარმოებლებმა. თუმცა, როგორც აღინიშნა, მათ აქციებზე მინიმუმ ერთი კვირით უარი თქვეს, რამდენადაც პრემიერის ადმინისტრაციიდან მიიღეს შეტყობინება, რომ მთავრობა და პრემიერი მიმდინარე კვირის ბოლომდე გაერკვევა შექმნილ ვითარებაში, – ნათქვამია განცხადებაში.

**კომერსანტი**

# ივლისში კვების პროდუქტებზე, სასმელებსა და თამბაქოზე ფასები შემცირდა, თუმცა, წინა წელთან შედარებით — გაიზარდა

– 2018 წლის ივლისში სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით 0,8 პროცენტით შემცირდა, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 5,7 პროცენტით გაიზარდა.

ამის შესახებ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებშია აღნიშნული.

„საქსტატის“ მონაცემებით, წინა თვესთან შედარებით ფასები 0,9 პროცენტით შემცირდა გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ჯგუფზე და შესაბამისმა წვლილმა ინდექსის პროცენტული ცვლილების საერთო მაჩვენებელში -0,71 პროცენტული პუნქტი შეადგინა.

– ჯგუფში ფასების კლება დაფიქსირდა კვების პროდუქტებზე, სასმელებსა და თამბაქოს ნაწარმზე (-1,1 პროცენტი), ძირითად ლითონებსა და ლითონის მზა ნაწარმზე (-2,6 პროცენტი), ასევე ქიმიურ ნივთიერებებზე, ქიმიურ პროდუქტებსა და ქიმიურ ბოჭკოებზე (-1,2 პროცენტი).

სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციის ჯგუფზე ფასები შემცირდა 4,5 პროცენტით, რაც მთლიანი ინდექსის ცვლილებაზე -0,29 პროცენტული პუნქტით აისახა, – ნათქვამია „საქსტატის“ მონაცემებში.

რაც შეეხება 12-თვიან პერიოდს, ბოლო 1 წელიწადში ინდექსის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ პროდუქტებზე:



გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია: ფასები გაიზარდა 4,2 პროცენტით, რამაც მთლიანი ინდექსის ზრდაზე 3,48 პროცენტული პუნქტით იმოქმედა. ამასთან, ფასები გაიზარდა კვების პროდუქტებზე, სასმელებსა და თამბაქოს ნაწარმზე (3,2 პროცენტი), ასევე ძირითად ლითონებზე და ლითონის მზა ნაწარმზე (7,2 პროცენტი); ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და ცხელი წყლის შემთხვევაში ფასების 14,8 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა, რაც საქსტატის ინფორმაციით, მთლიანი ინდექსის ცვლილებაზე 2,01 პროცენტული პუნქტით აისახა.

**კომერსანტი**

## საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტი გაიზარდა

2018 წლის იანვარ-ივლისში საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში განხორციელებული ექსპორტის მოცულობა, 417.7 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 20.2 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს და ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 22.3 პროცენტს შეადგენს.



სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, იმპორტმა 1 536.1 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია (27.2 პროცენტით მეტი) და მთლიანი იმპორტის 29.7 პროცენტი შეადგინა.

როგორც საქსტატის ინფორმაციაშია აღნიშნულია, სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 1 953.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 25.6 პროცენტით აღემატება.

რაც შეეხება სავაჭრო დეფიციტს, 2018 წლის იანვარ-ივლისში მთლიან უარყოფით სავაჭრო ბალანსში მისი წილი 33.8 პროცენტით განისაზღვრა.

2018 წლის იანვარ-ივლისში, საქართველოდან დსთ-ის ქვეყნებში განხორციელებული ექსპორტის მოცულობა 872.9 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 52.1 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს, ხოლო ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 46.7 პროცენტს შეადგენს.

იმპორტი 1 513.7 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა (24.7 პროცენტით მეტი), რაც მთლიანი იმპორტის 29.2 პროცენტს შეადგენს. სავაჭრო ბრუნვამ დსთ-ის ქვეყნებთან 2 386.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 33.5 პროცენტით აღემატება.

რაც შეეხება სავაჭრო დეფიციტს, 2018 წლის იანვარ-ივლისში, მისი წილი მთლიან უარყოფით სავაჭრო ბალანსში 19.4 პროცენტი იყო.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა გვიჩვენებს ქვეყნების ჯგუფების წილს საქართველოს მთლიან ექსპორტსა და იმპორტში.

**კომერსანტი**

## ავტომობილებს ველარ დაალომბარდებთ

ავტომობილებს ველარ დაალომბარდებთ. ეკონომისტთა ნაწილი ამ გადაწყვეტილებას დადებითად აფასებს, რადგან ქვეყანაში ჭარბვალიანობის პრობლემაა და ავტომობილების დალომბარდების აკრძალვა ბიზნესზე საერთოდ არ იმოქმედებს უარყოფითად, პირიქით, ლომბარდების სერვისს გააუმჯობესებს.



ეკონომისტი ოთარ ანგურიძე აღნიშნულ ცვლილებას დადებითად აფასებს და აცხადებს, რომ ეს ცვლილება სალომბარდე სერვისს უფრო გააუმჯობესებს.

– მსგავსი შეზღუდვები, რაც ჭარბვალიანობის აღმოფხვრას ემსახურება ქვეყანაში, ქვეყნის როგორც სოციალურ, ასევე ეკონომიკურ განვითარებას შეუწყობს ხელს. ამან შეიძლება ზოგიერთი ლომბარდებისთვის გამოიწვიოს სხვა პროფილების შეძენა. თუ აქამდე ლომბარდი მხოლოდ ავტომობილებზე მუშაობდა, უკვე მოუწევს გადაიარაღება და გამსხვილება. ეს კი სერვისს უფრო გააუმჯობესებს და წაადგება ბიზნესსაქმიანობას, – აცხადებს ანგურიძე.

ეკონომისტთა ნაწილი კი განსხვავებულად ფიქრობს. მათ ეს აკრძალვა არ მოსწონთ.

ეკონომიკის დოქტორის, ვახტანგ ჭარაიას განცხადებით, ავტომობილების დალომბარდების აკრძალვა მცდარი გადაწყვეტილებაა.

– ეროვნული ბანკის ეს აკრძალვა ავტოლომბარდებთან მიმართებით არის მცდარი. გამოდის რომ ეროვნულმა ბანკმა უკეთესად იცის, თუ როგორ მართოს თავისი საკუთრება, ვიდრე ინდივიდებმა და მოქალაქეებმა. ეს კი, თავისთავად, საფუძველშივე არასწორი გადაწყვეტილებაა, – აცხადებს ჭარაია.

**BFM.GE**

# „უბრალოდ, დამმარხეთ და მეტი არაფერი“

## რატომ ჩამოიხრჩო თავი 18 წლის მათე კვარაცხელიამ



რამდენიმე დღის წინ 18 წლის მათე კვარაცხელია გვიან ღამით, თბილისში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში გარდაცვლილი ნახეს.

შსს-ში ადასტურებენ, რომ ახალგაზრდამ თავი ჩამოიხრჩო. მომხდარზე გამოძიება თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით დაიწყო.

16 აგვისტოს, დაახლოებით 17 საათზე, მათე კვარაცხელიამ ფეისბუქის პირად გვერდზე ვრცელი პოსტი გამოაქვეყნა, სადაც წერს, რომ კარგი იქნებოდა, ადამიანი მართლა ისე ცხოვრობდეს, თითქოს ეს მისი უკანასკნელი დღე იყოს.

„მე თუ მოვკვდები, არ მინდა ჩემს საფლავზე დადგან რამე მარმარილოს მსგავსი, საერთოდ არაფერი მინდა საფლავზე! მე თუ მოვკვდები, არ გამართონ უაზრო ქელეხი, სმა-ჭამა და ყოველივე მარაზმული, რაც ხდება ადამიანის სიკვდილის შემდეგ, არ იდგეს სადარბაზოსთან რიგები, არ იდოს ჩემი კუბო შუა ოთახში და არ ისხდნენ ჭირისუფლები ჩემს გარშემო სკამებზე, ამას კატეგორიულად მოვითხოვ. უბრალოდ, დამმარხეთ და მეტი არაფერი. სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის არ მჯერა, მაგრამ რისი მჯერა, ისიც არ ვიცი, იმისიც ნამდვილად არ მჯერა, რომ უბრალოდ მიწად ვიქცევი და მეტი არაფერი, უცნაურია, ხანდახან მაგარი ბიჭის როლს ვთამაშობ, მაგრამ ეს ასე არ არის, ერთი ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, რომელსაც ყველა უყვარს და სულ უნდა, კარგი აკეთოს, მაგრამ, უმეტეს შემთხვევებში, არ გამოსდის“, – წერდა კვარაცხელია.

**რეგინფო**

# ქარელში ჯარისკაცი სანადირო თოფით მოკლეს



სოფელ ხვედურეთში მე-13 ბატალიონის ჯარისკაცი მოკლეს. არსებული ინფორმაციით, ჯარისკაცს ჭრილობები სანადირო თოფით აქვს მიყენებული.

სამართალდამცველებმა სავარაუდო დამნაშავე უკვე დააკავეს. ის პოლიციის განყოფილებაშია გადაყვანილი.

სოფელში ამბობენ, რომ უბედური შემთხვევა მოხდა.

– შემთხვევაში ბრალდებულ კაცს ნაკვეთი ჰქონდა. ბოლო დღეებში ამბობდა, რომ ღამით, სავარაუდოდ, გარეული ცხოველი ნაკვეთს უზიანებდა. რომ დაღამდა, სანადირო თოფით ჩაუსაფრდა – იძახდა, უნდა მოვკლაო. ამ დროს ჩამოუვლია მეზობლის ბიჭს, მას ცხოველში აერია და ესროლა. ასეთი ტრაგედია დატრიალდა სოფელში. ეს კაცი პოლიციას თვითონ ჩაბარდა, – ყვებიან ადგილობრივები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

# პოლიციელები, რომლებმაც შსს-ს აკადემიაში გამოცდები ვერ ჩააბარეს, სამსახურიდან გათავისუფლდნენ



საპატრულო პოლიციის 500 თანამშრომლიდან დაახლოებით 50-მა შსს-ს აკადემიაში გადამზადების კურსი ვერ გაიარა, რის გამოც სამსახურიდან გათავისუფლდა. ინფორმაციას სააგენტო „ინტერპრესნიუსი“ ავრცელებს.

საპატრულო პოლიციის თანამშრომლების გადამზადება სექტემბრიდან ისევ გაგრძელდება და ის დაახლოებით 1000 პატრულ-ინსპექტორს შეეხება.

– ეს არ ნიშნავს, რომ ისინი ვერასდროს იმუშავებენ პოლიციაში. მათ საბაზისო სასწავლო კურსის გავლის შემთხვევაში ნებისმიერ მიმართულებაზე დაბრუნება შეეძლებათ, ეს იქნება საპატრულო პოლიციის საბაზისო კურსი თუ სხვა, – განაცხადა შსს-ს აკადემიის რექტორმა ივანე პაპიაშვილმა.

მისივე ინფორმაციით, კურსი, რომელსაც საპატრულო პოლიციის თანამშრომლები გადიან, ძირითადად სამი კომპონენტისგან შედგება. კერძოდ, პატრულ-ინსპექტორებს გამოცდის ჩაბარება უწევთ როგორც ფიზიკურ მომზადებაში, ისე იარაღის სროლაში. ასევე მოწმდება მათ მიერ ადმინისტრაციული ოქმების შევსების ხარისხი.

მისივე განმარტებით, საპატრულო პოლიციის თანამშრომლების გადამზადების პროცესის დასრულების შემდეგ სხვა მიმართულებების კადრების გადამზადება დაიწყება, მათ შორის დაგეგმილია გამომძიებლებისა და მესაზღვრეების გადამზადება.

# სარფსა და ქუთაისის აეროპორტში მარიხუანა აღმოაჩინეს



სარფსა და ქუთაისის აეროპორტში ნარკოტიკული ნივთიერება მარიხუანა აღმოაჩინეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა 16-17 აგვისტოს საბაჟო გამშვებ პუნქტებში „სარფი“ და „ქუთაისის აეროპორტი“, ეჭვის საფუძველზე, საქართველოსა და თურქეთის მოქალაქეების ფიზიკური დათვალიერების შედეგად ნარკოტიკული ნივთიერება მარიხუანა (საერთო წონა 19.74 გრამი) აღმოაჩინეს.

საქმეთა მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ერთეულებს გადაეცათ.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# რა წერია აუდიტის დასკვნაში, რამაც მერაბ ჭანუყვაძეს თანამდებობა დააკარგვინა

## 15-20 მილიონის ზარალი მუნიციპალიტეტს?



გუშინ, 20 აგვისტოს, გურიის გუბერნატორი, მერაბ ჭანუყვაძე, მეორედ გადადგა.

მართალია, დაახლოებით ერთი თვის წინ გადადგომასთან დაკავშირებით დაწერილი განცხადება ნაჩქარევი აღმოჩნდა და თანამშრომლებთან დამშვიდობების შემდეგ, რამდენიმე საათში ისევ გუბერნიაში დაბრუნდა, თუმცა ამჯერად პრემიერის გადაწყვეტილება საბოლოო აღმოჩნდა, რადგან მისი შემცვლელი გუბერნატორის წასვლიდან ერთ საათში დაასახელა.

რატომ წავიდა თუ გაუშვეს გურიის გუბერნატორი? ამ საკითხზე „გურიის მოამბეს“ კარგად ინფორმირებული წყარო ესაუბრა, რომელიც გვეუბნება, რომ ჭანუყვაძის წასვლის მთავარი მიზეზი აუდიტის დასკვნა, პროკურატურისა და ანტიკორუფციული დეპარტამენტის მიერ მოკვლეული და გამოვლენილი დარღვევები აღმოჩნდა:

– ეს ყველაფერი მაინც მოჰყვა ძირითადად ხალხის მღელვარებას. ამდენი გაყიდული მიწა, ცალკე კარიერები, აჯანყდა ხალხი. ეს არავის არ აწყობს იმ მუნიციპალიტეტში, სადაც ბატონი ბიძინა ცხოვრობს და ამდენი მამულები აქვს.

ჩემი აზრით, ყველაფერი მაინც მიწების თემით დაიწყო. ფაქტიურად ის, რაზეც მოსახლეობა ხმამაღლა საუბრობდა, დადასტურდა, რომ მიზერულ ფასებში იყიდებოდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები. საშინელი დარღვევებია აუქციონების ჩატარების კუთხით. ბევრ მუნიციპალიტეტში შეისწავლა აუდიტმა ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობა, მაგრამ აქ მიწების გაყიდვის მხრივ, არის ყველაზე დიდი დარღვევები. ანუ აქ ხდებოდა რა, ურეკი, ნატანები, შრომა ეს მიწები გადიოდა აუქციონზე და შემდეგ მისი მფლობელები სულ რაღაც თეთრებში ხდებოდნენ მისი გარემოცვის წევრები. მათი ნათესავები, ან ოჯახის წევრები. მისთვის მომგებიანი გარიგების მიზნით, ხდებოდა ეს ყველაფერი და ამით, მუნიციპალიტეტისთვის მიყენებული ზარალი 15-20 მილიონის ლარის ფარგლებში მერყეობს.

მაგალითად, ნახეთ რაც მოხდა შრომაში. 50 თეთრად გაიყიდა 109 ლარის ღირებულების მიწის ნაკვეთი, ამაზე სერიოზული ხმაური ატეხეს პედაგოგებმა და ეს მიწა დააყადაღა ანტიკორუფციულმა. ეს კარიერების საკითხიც ძალიან ცუდად დაემთხვა ყველაფერს. ანუ, მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ყველა მიმართულებით აქ არეული სიტუაცია იყო, – გვეუბნება წყარო.

აუდიტის სამსახურმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ყოფილი მერისა და ყოფილი გამგებლის (მაშინ ჯერ კიდევ მოქმედი გუბერნატორის, მერაბ ჭანუყვაძის) 2016-17 წლის საქმიანობის შესწავლა დაახლოებით 6 თვის წინ დაიწყო. ამის პარალელურად, საქმის შესწავლა დაიწყეს პროკურატურამ და ანტიკორუფციულმა.

# სასამართლომ გლდანის მე-8 საპყრობილის რეჟიმის განყოფილების ყოფილი უფროსი ინსპექტორი დამნაშავედ ცნო




პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე სასამართლომ გლდანის მე-8 საპყრობილის რეჟიმის განყოფილების ყოფილი უფროსი ინსპექტორი დამნაშავედ ცნო.

ამის შესახებ ნათქვამია საქართველოს პროკურატურის განცხადებაში.

„თბილისის საქალაქო სასამართლოში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გლდანის მე-8 დაწესებულებაში პატიმარ დ.რ-ს მიმართ ძალადობითა და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით განხორციელებული სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე მიმდინარე საქმის განხილვა დასრულდა. სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გლდანის მე-8 საპყრობილის რეჟიმის განყოფილების ყოფილი უფროსი ინსპექტორი კ.ყ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში.

სახელმწიფო ბრალდების მიერ წარდგენილი მტკიცებულებებითა და სასამართლოს განაჩენით დადასტურებულია, რომ 2008 წლის 24 ოქტომბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენის ბრალდებით დააკავეს დ.რ, რომელსაც 2008 წლის 27 ოქტომბერს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა და შესახლებულ იქნა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გლდანის მე-8 საპყრობილეში.

ბრალდებულ დ.რ.-ს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გლდანის მე-8 საპყრობილის მე-3 სარეჟიმო კორპუსზე შესახლების შემდგომ, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გლდანის მე-8 საპყრობილის რეჟიმის განყოფილების უფროსმა ინსპექტორმა და მე-3 სარეჟიმო კორპუსის ოფიცერმა კ.ყ-მ გადაწყვიტა დ.რ-ზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზემოქმედება მისთვის ბრალად წარდგენილი ქმედების აღიარების მიზნით.

2008 წლის 27 ოქტომბრიდან 2009 წლის 16 მარტამდე პერიოდში – თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დ.რ-ს მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე, კ.ყ. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გლდანის მე-8 საპყრობილის უსაფრთხოების განყოფილების უფროს ინსპექტორ ლ.ჩ-სა და სხვა თანამშრომლებთან ერთად სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გლდანის მე-8 საპყრობილის მე-3 სარეჟიმო კორპუსის C3 ფლიგელში დ.რ-ს კატეგორიულად მოსთხოვა მისთვის ბრალად შერაცხული დანაშაულის აღიარება, ამ უკანასკნელისგან უარის მიღების შემდეგ კი მის ხელთ არსებული ხელის რადიოგადამცემი, „რაცია“, ძლიერად ჩაარტყა სახის არეში. დარტყმის ძალის შედეგად დ.რ. წაიქცა და დაეცა ძირს, რის შემდეგაც კ.ყ. უსაფრთხოების განყოფილების უფროს ინსპექტორ ლ.ჩ-სთან ერთად დაახლოებით 10 წუთის განმავლობაში შეურაცხყოფას აყენებდა, ამცირებდა მას და გამეტებით ურტყამდა ფეხებს თავში, ტანის არესა და კიდურებზე, რის გამოც დ.რ. განიცდიდა ძლიერ და აუტანელ ტკივილს.

დ.რ-ს საკანში დაბრუნების შემდეგ კ.ყ-მ იგი მკაცრად გააფრთხილა, რომ მისი ცემის შესახებ არავისთვის არაფერი ეთქვა, წინააღმდეგ შემთხვევაში მის თანასაკნელებსაც ანალოგიურად გაუსწორდებოდა.

აღნიშნული ფაქტიდან რამდენიმე კვირაში სასამართლოს მიერ დ.რ-სთვის განაჩენის გამოტანამდე აღიარებითი ჩვენების მოპოვების მიზნით კ.ყ. და ლ.ჩ. გლდანის მე-8 საპყრობილის სხვა თანამშრომლებთან ერთად შევიდნენ გლდანის მე-8 საპყრობილის მე-3 სარეჟიმო კორპუსის 236-ე საკანში, სადაც მოთავსებული იყო ბრალდებული დ.რ. კ.ყ-მ დ.რ-ს კვლავ ჰკითხა აღიარებდა თუ არა იგი ჩადენილ დანაშაულს, რაზეც უარყოფითი პასუხის მოსმენის შემდეგ კ.ყ-მ და ლ.ჩ-მ მისი მისამართით დაიწყეს გინება და სახეში რამდენჯერმე გაარტყეს ხელი.

დაზარალებული დ.რ-ს ცემა და ძალადობა მხოლოდ მას შემდეგ შეწყდა, რაც მის მიმართ სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა და მისგან აღიარებითი ჩვენების მიღება საქმისთვის აღარ იყო მნიშვნელოვანი.

კ.ყ-ს მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტს შედეგად მოჰყვა დ.რ-ს უფლების არსებითი დარღვევა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი ხელყოფა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გლდანის მე-8 საპყრობილის რეჟიმის განყოფილების ყოფილი უფროსი ინსპექტორი – კ.ყ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით, დამატებითი სასჯელის სახით – ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება 3 წლის ვადით, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენებით შეუმცირდა -ით და საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით, თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა 2 წლითა და 3 თვის ვადით.

რაც შეეხება დ.რ-ს მიმართ ძალადობაში მხილებულ მეორე პირს – სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მე-8 საპყრობილის უსაფრთხოების განყოფილების ყოფილ ინსპექტორ ლ.ჩ.-ს, მის მიმართ გამოტანილია დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების შესახებ, მისი გარდაცვალების გამო“, – ნათქვამია განცხადებაში.

# აშშ უკრაინას აღარ დათმობს



დასრულდა ანგელა მერკელისა და ვლადიმერ პუტინის შეხვედრა. კიდევ ერთხელ გაქარწყლდა იმ პოლიტოლოგთა იმედები, რომლებიც ახალი „მოლოტოვ-რიბენტროპის“ პაქტის დადებას თუ არა, კონტურების შემოხაზვას მაინც იმედოვნებდნენ.

დასავლეთის მიერ უკრაინაზე ხელის აღება არ მოხდა. პუტინმა ვერ მიაღწია იმას, რომ გერმანიას დონბასში მშვიდობის აღდგენის რუსული სქემისთვის მხარი დაეჭირა ან გამოეთქვა მზადყოფნა, რომ მომავალში მხარს დაუჭერდა.

– ეს აშშ-ის გავლენით მოხდა, – აცხადებს რუსი პოლიტოლოგი მარკოვი.

თავად აშშ-ში, ტრამპის მხრივ წინააღმდეგობის მიუხედავად, 717-მილიარდიანი თავდაცვითი ბიუჯეტი მიიღეს. ეს მართლაც რეკორდული მაჩვენებელია. პოლიტოლოგი ანდრეი პიონტკოვსკი მიიჩნევს, რომ ტრამპის თანხმობა დიდად განაპირობა მისი საარჩევნო შტაბის ყოფილი მეთაურის, მანაფორტის, სასამართლო პროცესმა.

– აშშ-ის პრეზიდენტს სულ სხვა გეგმები ჰქონდა, მაგრამ მანაფორტის პროცესმა ისეთი დისკომფორტი შეუქმნა, რომ იძულებული გახდა, მაკეინის ბიუჯეტზე დათანხმებულიყო, – ამბობს პიონტკოვსკი.

პოლიტოლოგის აზრით, მანაფორტის პროცესი აშშ-ის შემდგომ პოლიტიკურ ცხოვრებაზე უდიდეს გავლენას მოახდენს. ეს შანსს აძლევს დემოკრატებს, რომ კონგრესის არჩევნებზე მცირე, მაგრამ მაინც უპირატესობა მოიპოვონ. პიონტკოვსკი მიიჩნევს, რომ ამის შემდეგ ტრამპის იმპიჩმენტის პროცედურა დაიწყება.

ექსპერტი ვიტალი პორტნიკოვი ამას არ ეთანხმება. მისი აზრით, პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცესი ხანგრძლივია და უდიდეს სკანდალებთან არის დაკავშირებული.

– ამაში არც რესპუბლიკელები და არც დემოკრატები არ არიან დაინტერესებულნი, – ამბობს პორტნიკოვი.

პოლიტოლოგის აზრით, გაცილებით რეალურია მეორე ვარიანტი, როცა რესპუბლიკელებსა და დემოკრატებს შორის მოხდება გარიგება. რუსეთთან მიმართებით რესპუბლიკელებიცა და დემოკრატებიც ერთსულოვანნი არიან. შესაბამისად, ტრამპიც დათანხმდება, რომ პუტინთან შეთანხმების ნაცვლად უპირატესობა მოსკოვზე ზეწოლას მისცეს. აშშ გააძლიერებს რუსეთის მიმართ დაწესებულ სანქციებს და მთელი მსოფლიოს მასშტაბით რუსეთის შევიწროებას დაიწყებს. ეს გავრცელდება როგორც სირიაზე, ასევე პოსტსაბჭოთა სივრცეზე. პუტინი შეეცდება (და უკვე ცდილობს), ევროპასთან სტრატეგიული კავშირები დაამყაროს, რათა ამერიკული სანქციების პირისპირ მარტო არ დარჩეს. ამით აიხსნება მისი ვიზიტი ბერლინში.

ასეთ სიტუაციაში იზრდება უკრაინის მნიშვნელობაც. უკრაინა დიდ როლს ითამაშებს როგორც „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის ჩაშლაში, ასევე რუსული აგრესიის განეიტრალებაშიც. რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი კი საუკეთესო საბაბია საიმისოდ, რომ აშშ-მ ევროპასთან ერთად ერთიანი ანტირუსული ბლოკი შექმნას. ევროპასთან რამე სტრატეგიული კავშირის დამყარების პუტინის მცდელობაც მარცხით დასრულდება.

პუტინი შეეცდება, მთელი ჯავრი უკრაინაზე ამოიყაროს, რადგანაც პრობლემები ამ ქვეყნის გამოისობით შეექმნა. დასავლეთი, უწინარეს ყოვლისა, აშშ, რუსეთის უკრაინაში ფართომასშტაბიან ინტერვენციას არ დაუშვებს. სამაგიეროდ, პუტინი მთელ თავის ქსელს აამოქმედებს, რათა უკრაინა ამოაყირავოს. შემთხვევითი როდია, რომ პუტინის ნათესავი და რუსეთის გავლენის აგენტი მედვედჩუკი დიდ პოლიტიკაში დაბრუნდა. ამის პარალელურად განხორციელდება წვრილ-წვრილი სამხედრო ავანტიურები, დივერსიები, საბოტაჟი, ტერორი.

რუსეთ-უკრაინის დაპირისპირება გრძელდება. სავარაუდოდ, ის უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში გაგრძელდება. ეს კი უდიდეს გავლენას იქონიებს როგორც უკრაინაზე, ასევე რუსეთის შიგნით შექმნილ მდგომარეობაზეც.

## მარია ბუტინა სხვა ციხეში გადაიყვანეს



რუსი ჯაშუში მარია ბუტინა სხვა ციხეში გადაიყვანეს. ამჟამად ის ალექსანდრიის (შტატი ვირჯინია) ციხეში იმყოფება.

ბუტინა ჯაშუშების იმ კატეგორიას განეკუთვნებოდა, რომლებიც ინფორმაციის მოპოვების მიზნით მამაკაცს ლოგინში უწვებიან.

ჩეკისტურ ჟარგონზე ასეთებს ლასტოჩკებს უწოდებენ.

## ბრენანი სასამართლოში ჩივილს აპირებს



ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი დირექტორი ბრენანი აცხადებს, რომ ტრამპის ბრძანება მისი საიდუმლო ინფორმაციასთან მიშვების აკრძალვის შესახებ უკანონოა.

– მე ვაპირებ, ეს სასამართლოში გავაპროტესტო, – თქვა ბრენანმა.

დაზვერვის ყოფილი შეფი აცხადებს, რომ ძირითადად ამოძრავებს სურვილი, დაიცვას სხვა ვეტერანები, რომლებიც, შესაძლოა, უკანონო ბრძანების მსხვერპლნი აღმოჩნდნენ.

## კატალონიაში პოლიციას თავს დაესხნენ



ესპანეთში, კატალონიაში, ქალაქ კორნელია დე ლიობრეგატში, ცივი იარაღით აღჭურვილი პირი პოლიციის განყოფილებაში შეიჭრა.

როგორც ესპანური მედია იუწყება, თავდამსხმელი წარმოშობით ალჟირელია. პოლიციის განყოფილებაში შეჭრისას ის „ალაჰ აქბარს“ ყვიროდა. პოლიციელებმა მისი ლიკვიდირება მოახდინეს.

ინციდენტი ადგილობრივი დროით დილის 6 საათზე მოხდა.

აღსანიშნავია, რომ შარშან, 17 აგვისტოს, ბარსელონასა და ტარაგონაში ტერაქტები მოხდა, რომლის შედეგად 13 ადამიანი დაიღუპა. შეგახსენებთ, რომ მაშინ ბარსელონის ცენტრში მიკროავტობუსი ხალხის მასაში შევარდა.

– კატალონიაში პოლიციის განყოფილებაზე თავდასხმა განიხილება, როგორც ტერაქტი, – ამის შესახებ კატალონიის პოლიციის ხელმძღვანელის მოადგილე რაფელ კომასმა განაცხადა.

– ჩვენ ამ ინციდენტს, როგორც ტერაქტს, ისე განვიხილავთ, თუმცა ბევრი მუშაობა მოგვიწევს. უნდა შევაფასოთ ფაქტები, ბალისტიკური ექსპერტიზა და ა.შ., – განაცხადა მან პრესკონფერენციაზე.

რაფელ კომასის თქმით, თავდამსხმელის სახლში სამართალდამცველებს ჯერ ჩხრეკა არ დაუწყიათ, ვინაიდან სასამართლოს ნებართვას ელოდებიან.

თავდამსხმელის ვინაობა დადგენილია. ის 1989 წელს დაბადებული აბდელვაჰაბ ტაიბია. მას ესპანეთში ბინადრობის სტატუსი ჰქონდა.

## ჯავად ზარიფი: „აშშ-ს ირანის მთავრობის დამხობა სურს!“



ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოჰამად ჯავად ზარიფმა განაცხადა, რომ აშშ-ს ირანის ამჟამინდელი ხელისუფლების დამხობა სურს.

– 65 წლის წინ ამერიკელებმა ირანის კანონიერად არჩეული ხელისუფლება დაამხეს. ახლაც მსგავსი მეორდება, – ამბობს ზარიფი.

მინისტრი აცხადეს, რომ ირანი ქედს არ მოიხრის.

– სირიაში ჩვენი ყოფნა გაგრძელდება, მეტიც, ჩვენ შევქმნით შიიტურ რკალს და ისრაელს საკადრის პასუხს გავცემთ! – იმუქრება ზარიფი.

# უკრაინელთა 81% რუსეთს მტრად მიიჩნევს



24 აგვისტოს უკრაინა დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავს. სააგენტო „რეიტინგის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად სამშობლოს პატრიოტად უკრაინელთა 90% მიიჩნევს თავს. შეკითხვაზე, თუ ამაყობთ იმით, რომ უკრაინელი ხართ, დადებითი პასუხი 85%-მა გასცა.

მიუხედავად ომისა, კორუფციისა და სიდუხჭირისა, რუსეთ-უკრაინის გაერთიანებას მხარს 3% უჭერს. ქვეყნის ფედერალიზაციას ამდენივე მომხრე ჰყავს. უკრაინის ევრაზიულ კავშირში შესვლის მომხრეთა რაოდენობა 6%-ია. რუსულისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭება მხოლოდ 7,5%-ს სურს.

შეკითხვაზე, რუსეთს მტრულ სახელმწიფოდ მიიჩნევთ თუ არა, დადებითი პასუხი 81%-მა გასცა. ამავე დროს, 60% აცხადებს, რომ უბრალო რუს ხალხთან პრეტენზიები არ გააჩნია და მტრად მხოლოდ სახელმწიფოს მიიჩნევს.

რუსეთის მხრივ აგრესიის შემთხვევაში ქვეყნის იარაღით ხელში დაცვას 66% აპირებს. ერთი თვის წინ ეს მაჩვენებელი 62% იყო.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**


## განცხადებები

### სხვადასხვა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამადანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# თბილისში იტალიამ იჩემპიონა

თბილისში გამართულ ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრები მე-7 ადგილზე გავიდა. მას შემდეგ, რაც ჩვენებმა ჯგუფიდან ვერ გააღწიეს, 5-8 ადგილისთვის ბრძოლაში ჩაერთნენ.

ამ ტურნირზე საქართველო-ფარერების მატჩი იყო პირველი, რომლის გამარჯვებულიც პენალტების სერიამ გამოავლინა. ძირითადი დრო ფრედ 27:27 დასრულდა.

ფარერელებმა ინიციატივა თავიდანვე იგდეს ხელთ, დაცვაში საიმედოდ შეტევაში კი მწვავედ და პირველი ტაიმი 17:12 მოიგეს, მაგრამ საქართველოს ნაკრებმა მეორე ტაიმში სულ სხვა ხელბურთი შესთავაზა ოლიმპიურ სასახლეში შეკრებილ მაყურებელს. ტურნირის მასპინძლებმა მნიშვნელოვნად გამოასწორეს როგორც დაცვა ასევე შეტევა და 42-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრეს. ამის შემდეგ მეტოქეებმა 9-ჯერ გაათანაბრეს ანგარიში. გუნდები ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს, შეხვედრა ემოციური და სანახაობრივი გამოდგა.

პენალტების სერიაში ფარერელებმა იყოჩაღეს.

მატჩის საუკეთესო მოთამაშედ ფარერებიდან გუნდის აშკარა ლიდერი, უკანახაზელი ელიას სკიპაგოტუ დაასახელეს, რომელმაც 13 გოლი გაიტანა, ხოლო საქართველოს ნაკრებიდან ხაზის მოთამაშე გიორგი ლაპიაშვილი – 8 გოლი.

ამ მარცხის შემდეგ ტიტე კალანდაძის გაწვრთნილი გუნდი მე-7 ადგილის ფინელებს შეხვდა. თამაშის დამთავრებამდე 11 წამით ადრე ანგარიში იყო 22:22, ბურთი კი ფინელებს ჰქონდათ. თუ გაიტანდნენ, დიდი ალბათობით, თამაში მათი გამარჯვებით დამთავრდებოდა და მე-7 ადგილზეც გავიდოდნენ, მაგრამ შანსი ხელიდან გაუშვეს – საქართველოს ნაკრებმა ბურთი წაართვა, სწრაფი კონტრშეტევა ჩაატარა და შეხვედრის საუკეთესო მოთამაშემ გიორგი ცხოვრებაძემ გამარჯვების გოლი გაიტანა.

ეს გახლდათ ფინეთის და საქართველოს მეორე დაპირისპირება ამ ჩემპიონატში. პირველი თამაში, ჯგუფურ ეტაპზე, დამთავრდა ფრედ – 25:25. იმ შეხვედრაში გუნდებმა 18-ჯერ გაუთანაბრეს ერთმანეთს ანგარიში. მე-7 ადგილისთვის მატჩში იმავე გუნდებმა ანგარიში 17-ჯერ გაათანაბრეს.

შედეგად საქართველომ ჭაბუკთა ჩემპიონატში მე-7 ადგილი დაიკავა, ხოლო ფინეთმა – მე-8.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, ქართველთაგან საუკეთესოდ 12 გოლის ავტორი, უკანახაზელი გიორგი ცხოვრებაძე დაასახელეს, ხოლო ფინელთაგან – მეკარე იოონას კლამა.

ფინალში იტალიამ ბელარუსი დაამარცხა. ეს იყო შეხვედრა, სადაც ერთმანეთის პირისპირ ღირსეული მეტოქეები იდგნენ, მაგრამ იტალიელებმა მეტოქეს ერთხელაც არ მისცეს წინ გასვლის საშუალება. მთელი შეხვედრის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ, პირველი ტაიმის 23-ე წუთზე შეძლო ბელარუსმა ანგარიშის გათანაბრება, მეორე ტაიმში კი ახლა უკვე ევროპის ჩემპიონმა მოუმატა და მის უპირატესობაში ეჭვის შეტანა შეუძლებელი გახდა. თამაშის მიწურულს ის ორჯერ 8 ქულით უგებდა მეტოქეს.

ფინალის საუკეთესო მოთამაშედ იტალიელთაგან 9 გოლის ავტორი სიმონე მენგონი დაასახელეს, ხოლო ბელარუსთაგან – 7 გოლის ავტორი იაჰორ ბუძეიკა.

ალსანიშნავია, რომ ორივე გუნდი საქართველოს ნაკრების მეტოქე იყო ჯგუფში და ჩვენებმა ბელარუსის ნაკრებს მოუგეს, მაგრამ სხვა მატჩები ცუდად ჩაატარეს და ნახევარფინალს მიღმა დარჩნენ.

ტურნირის სიმბოლური ნაკრები:

**მეკარე:** ანდრეა კოლელუორი (იტალია); მარცხენა გარემარბი სამუელ ზენდერი (შვეიცარია); მარცხენა შუამარბი მარკო მენგონი (იტალია); გამთამაშებელი ელიას სკიპაგოტუ (ფარერები); ხაზის მოთამაშე მიჰალ პილიუკი (ბელარუსი); მარჯვენა შუამარბი მარტინ სერაფიმოვი (მაკედონია); მარჯვენა გარემარბი ნენად კოსტესკი (მაკედონია).

ჩემპიონატის ბომბარდირი გიორგი ცხოვრებაძე (საქართველო) – 65 გოლი;

საუკეთესო მცველი ლუკას ლაუბე (შვეიცარია);

საუკეთესო მოთამაშე მიკიტა ჩიჟიკი (ბელარუსი).




# ყაზახეთის ნაკრებმა საქართველოსთვის შემადგენლობა დაასახელა



6 სექტემბერს ერთა ლიგა იწყება. საქართველოს ნაკრები სადებიუტო მატჩში ყაზახეთს ესტუმრება. მატჩი „ასტანა არენაზე" გაიმართება და ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ორივე გუნდისთვის, რადგან ევროპაზე მოსახვედრად ჯგუფის მთავარი ფავორიტები სწორედ ეს გუნდები არიან. შეგახსენებთ, რომ მათ გარდა ჯგუფში ლატვიისა და ანდორის ნაკრებებიც არიან.

ყაზახეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სტანიმირ სტოილოვმა უკვე გამოაცხადა შემადგენლობა:

მეკარეები: ნენად ერიჩი (ასტანა), ვლადიმირ პლოტნიკოვი (ქაირათი), დმიტრო ნეპოგოდოვი (ტობოლი);

მცველები: სერგეი მალი, ევგენი პოსტნიკოვი, დმიტრი შომკო, აბზალ ბეისბეკოვი, იური ლოგვინენკო (ყველა ასტანა), გაფურჯან სუიუმბაევი, სტანისლავ ლუნინი (ორივე ქაირათი), დმიტრი მიროშნიჩენკო (ტობოლი);

ნახევარმცველები: ისლამბეკ ქუათი, ბაიურან ისლამხანი, იან ვოროგოვსკი, მაგამედ პარაგულგოვი, გეორგი ჟუკოვი (ყველა ქაირათი), ბაქტეირ ზაინუგტინოვი, სერიკჟან მუჟიკოვი (ორივე ასტანა).

თავდამსხმელები: ერკებულან ტუნგიშბაევი (ორდაბასი), ალექსეი შეტკინი, რომან მურთაზაევი (ორივე ასტანა), ბაუირჟან ტურისბეკი (ტობოლი), ერკებულან საიდახმეტი (უფა, რუსეთი).

# საბურთალოს უგოლო ფრე ტურში მესამე გამოდგა



**საბურთალო-დილა 0:0**

**თბილისი.** მიხეილ მესხი

**საბურთალო:** კუპატაძე, მარგველაშვილი, კოხრეიძე (თარგამაძე 75), ლაკვეხელიანი, ჩაბრაძე, დვალიშვილი (ტატანაშვილი 82), ტერა, გორგიაშვილი, გონსალვესი, დიასამიძე (ვოლკოვი 76), რეხვიაშვილი

**დილა:** გუგეშაშვილი, გადრანი, ჩადუნელი, რაზმაძე (ნონდი 90), გოგუა, ნონიკაშვილი, კორიფაძე, ომარ ბაბუ (სამუშია 61), გრიგალაშვილი, რიბეირო, ჯუფი (ლემპტი 80)

დედაქალაქურმა საბურთალომ 21-ე ტურის ცენტრალურ შეხვედრაში გოლის დილას უმასპინძლა და შეხვედრა გატანილი გოლების გარეშე დასრულდა. მიმდინარე სეზონზე პირველად მოხდა, რომ გიორგი ჭიაბრიშვილის გუნდმა გოლის გატანა ვერ მოახერხა – აქამდე ჩატარებული 20 მატჩიდან თბილისელებს მოწინააღმდეგის კარში მინიმუმ ერთი გოლი ჰქონდათ გატანილი, მაგრამ ამჯერად დილას კარი ვერა და ვერ აიღო.

აქვე იმასაც ვიტყვით, რომ 21 ტური ნაკლული იყო, რადგან თბილისის ლოკომოტივისა და ქუთაისის ტორპედოს მატჩი გადაიდო იმერული კლუბის ევროთასებზე ასპარეზობის გამო, ამიტომ მხოლოდ 4 მატჩი ჩატარდა და სულ 2 გოლი გავიდა, ისიც სიონისა და კოლხეთის შეხვედრაში, ხოლო 3 მატჩი 0:0 დასრულდა.

დავუბრუნდეთ საბურთალო-დილას: ზოგადად შეხვედრაში სახიფათო მომენტები ნაკლებად იყო. მოწინააღმდეგე ძირითადად კარის უსაფრთხოებაზე იყო ორიენტირებული. საწყის წუთებში ვლადიმერ დვალიშვილს შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ ფორვარდის დარტყმული ბურთი მცირედით ასცდა დილას კარს. რამდენიმე წუთში კი ვაგნერმა დაარტყა საჯარიმოს გარედან, მაგრამ მეკარე გუგეშაშვილმა მოიგერია. განსაკუთრებით პირველ ნახევარში უხეშობდნენ გორელი ფეხბურთელები. მატჩის 31-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც მთავარ არბიტრ ირაკლი კვირიკაშვილს სტუმარი გოგიტა გუგუას გაძევება მართებდა (ერთი ყვითელი ბარათი მიღებული ჰქონდა), რადგან ბრაზილიელი ვაგნერის წინააღმდეგ ძალიან იუხეშა. მაგრამ მსაჯმა ფეხბურთელი აშკარად დაინდო. ტაიმის მიწურულს გორელების იშვიათ შეტევას მეკარე ლაზარე კუპატაძის კარგი თამაში მოჰყვა.

მეორე ნახევარში საბურთალოელებმა ოდნავ ტემპს უმატეს, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა გამარჯვებისთვის. ერთ-ერთ ეპიზოდში კვლავ დვალიშვილს მიეცა ანგარიშის გახსნის შანსი – ბურთი კარგადაც დაამუშავა, მაგრამ დარტყმა აღარ გამოუვიდა. ხუთწუთიან მონაკვეთში საბურთალოელებმა სამჯერ ჯარიმის დარტყმის უფლება მოიპოვეს, მაგრამ ვერცერთი საშუალება ვერ გამოიყენეს.

75-ე წუთზე მოედანზე დავით თარგამაძე შემოვიდა, რომელმაც სადებიუტო შეხვედრა ჩაატარა ქალაქელთა შემადგენლობაში. თარგამაძე კარგად ჩაერთო შეხვედრაში, მარჯვენა ფლანგიდან სიმწვავეებმა იმატა, მაგრამ ბოლოს გატანის შანსი ვაგნერს მიეცა, როდესაც გზად ორი ფეხბურთელი ჩამოიშორა, კარშიც დაარტყა, თუმცა გუგეშაშვილმა ითამაშა საიმედოდ. საბოლოოდ – 0:0.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საბურთალო | 21 | 16 | 2 | 3 | 41-15 | 50 |
| 2.დინამო | 21 | 14 | 3 | 4 | 44-20 | 45 |
| 3.ჩიხურა | 21 | 11 | 5 | 5 | 34-18 | 38 |
| 4.დილა | 20 | 9 | 8 | 3 | 37-27 | 35 |
| 5.ტორპედო | 18 | 8 | 3 | 7 | 26-18 | 27 |
| 6.რუსთავი | 20 | 5 | 7 | 8 | 19-25 | 22 |
| 7.ლოკომოტივი | 20 | 6 | 4 | 10 | 25-36 | 22 |
| 8.სიონი | 21 | 5 | 4 | 12 | 21-36 | 19 |
| 9.სამტრედია | 21 | 1 | 7 | 13 | 13-35 | 10 |
| 10.კოლხეთი | 21 | 3 | 5 | 13 | 21-51 | 8 |

**შენიშვნა:** კოლხეთს დაკლებული აქვს 6 ქულა

# წურწუმია და ქაჯაია გრან-პრის გამარჯვებულნი არიან





გერმანიის ქალაქ დორტმუნდში მიმდინარე გრან-პრიზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 2 ქართველი – ნუგზარია წურწუმია (55კგ) და იაკობ ქაჯაია (130კგ) გამარჯვებულები გახდნენ.

წურწუმიამ, რომელიც ევროპის ჩემპიონატის პრიზიორია, ფინალში გერმანელი ფაბიან შმიტი 10:3 დაამარცხა, მანამდე კი თურქ აიაზცი დოგუს 4:0 და უნგრელ ანდრეას იოსეფს 4:3 მოუგო.

ქაჯაიამ ფინალში ლიტუეველ მანტას კნისტაუდასს 2:1 მოუგო. ოქროს გზაზე კი ფინელი ტომას ლაჰტი 3:0, უნგრელ ბალინტ ლამი 3:1 დაამარცხა, ხოლო ნახევარფინალში ზვიად პატარიძის დამმარცხებელ ესტონელების მსოფლიოს ჩემპიონ ჰეიკი ნაბის 3:1 სძლია.

ბრინჯაოს მედლები ლევან ქავჟარაძემ (67 კგ) და გიორგი მელიამ (97 კგ) მოიპოვეს. ქავჟარაძემ გადამწყვეტ შეხვედრაში ნორვეგიელი მორტენ ტორესენი აშკარა უპირატესობით – 9:0, ხოლო მელიამ ბელორუს დავიდ ჰამზატოვს 8:7 მოუგო.

# შედეგები

19 აგვისტო

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბარნლი-უოტფორდი ..................... 1:3
სიტი-ჰადერსფილდი ..................... 6:1
ბრაიტონი-მანჩესტერი ..................... 3:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 2 | 2 | 0 | 0 | 8-1 | 6 |
| 2.ჩელსი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-2 | 6 |
| 3.უოტფორდი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 4.ტოტენჰემი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-2 | 6 |
| 5.ბორნმუთი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 6.ევერტონი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 7.ლივერპული | 1 | 1 | 0 | 0 | 4-0 | 3 |
| 8.კრ.პალასი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 9.ლესტერი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 10.მანჩესტერი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 11.ბრაიტონი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| 12.ნიუკასლი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 13.საუთჰემპტონი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 14.ვულვზი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| 15.ბარნლი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 16.კარდიფი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 1 |
| 17.არსენალი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-5 | 0 |
| 18.ფულემი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |
| 19.ვესტ ჰემი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-6 | 0 |
| 20.ჰადერსფილდი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-9 | 0 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბრენტფორდი-უენსდი ..................... 2:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ეიბარი-უესკა ..................... 1:2
რაიო-სევილია ..................... 1:4
რეალი-ხეტაფე ..................... 2:0

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

კორდობა-ნუმანსია ..................... 3:3
მალიორკა-ოსასუნა ..................... 1:0
ოვიედო-ესტრემადურა ..................... 1:1
სარაგოსა-მაჯადაჰონდა ..................... 2:1
ლას პალმასი-რეუსი ..................... 2:0

**იტალია. სერია ა**

ტორინო-რომა ..................... 0:1
ბოლონია-სპალი ..................... 0:1
ემპოლი-კალიარი ..................... 2:0
პარმა-უდინეზე ..................... 2:2
სასუოლო-ინტერი ..................... 1:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

სტრასბური-სტ.ეტიენი ..................... 1:1
ტულუზა-ბორდო ..................... 2:1
ნიმი-მარსელი ..................... 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 2 | 2 | 0 | 0 | 6-1 | 6 |
| 2.ნიმი | 2 | 2 | 0 | 0 | 7-4 | 6 |
| 3.დიჟონი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 4.რეიმსი | 2 | 2 | 0 | 0 | 2-0 | 6 |
| 5.ლილი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 6.მონაკო | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 7.სტრასბური | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 8.სტ.ეტიენი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 9.მარსელი | 2 | 1 | 0 | 1 | 5-3 | 3 |
| 10.ლიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-1 | 3 |
| 11.მონპელიე | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 12.რენი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 13.ტულუზა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-5 | 3 |
| 14.ნიცა | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 15.კაენი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |
| 16.ანჟე | 2 | 0 | 0 | 2 | 3-5 | 0 |
| 17.გენგამი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-5 | 0 |
| 18.ამიენი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 19.ბორდო | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 20.ნანტი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

**ჰოლანდია. ეკრედივიზიონი**

უტრეხტი-ზვოლე ..................... 2:0
ემენი-ალკმაარი ..................... 1:4
ფეიენოორდი-ექსელსიორი ..................... 3:0
ჰერენვენი-ვიტესი ..................... 1:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ნაციონალი-მორეირენსე ..................... 1:2
რიუ ავე-მარიტიმუ ..................... 3:1
ბელენენსეში-პორტუ ..................... 2:3
ს.კლარა-ბრაგა ..................... 3:3

**რუსეთი. პრემიერლიგა**

კრილია-ლოკომოტივი ..................... 0:1
ზენიტი-ურალი ..................... 4:1
როსტოვი-ენისეი ..................... 4:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

აუსტრია-ადმირა ..................... 4:0
ლინცერი-რაპიდი ..................... 2:1
შტურმი-ალტახი ..................... 1:1

**ბელგია. 1 დივიზიონი**

ანტვერპენი-ბრიუგე ..................... 1:1
გენკი-შარლერუა ..................... 3:1
ეუპენი-გენტი ..................... 2:3

**თურქეთი. სუპერლიგა**

აკჰისარი-რიზე ..................... 1:1
ერზურუმი-ბეშიქთაში ..................... 1:3
ალანია-ანკარა ..................... 0:2
გალათასარაი-გიოზთეფე ..................... 1:0

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

კარვინა-პლზენი ..................... 0:1
სპარტა-პრჟიბრჟამი ..................... 2:2

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ლეგია-სოსნოვიცე ..................... 2:1
იაგელონია-პიასტი ..................... 2:1
ლეხი-ვისლა ..................... 2:5

**უკრაინა. პრემიერლიგა**

დესნა-კარპატი ..................... 2:1
ზორია-ოლიმპიკი ..................... 0:0
ვორსკლა-მარიუპოლი ..................... 2:1

**დანია. სუპერლიგა**

ნორდსიელანდი-ვეილე ..................... 2:0
რანდერსი-ჰობრო ..................... 3:0

**რანდერსის მე-3 გოლი საბა ლობჟანიძემ გაიტანა**

ორჰუსი-კოპენჰაგენი ..................... 1:1
ბრონდბიუ-ესბიერგი ..................... 0:1
ოდენსე-მიდტიულანდი ..................... 1:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

ელფსბორგი-ნორჩიოპინგი ..................... 0:1
სუნდსვალდი-ჰაკენი ..................... 0:2
ბრომაპოიკარნა-აიკი ..................... 0:2
დიურგარდენი-კალმარი ..................... 0:2

**ნორვეგია. ელიტსერია**

ბრანი-სარპსბორგი ..................... 2:0
კრისტიანსუნდი-რუსენბორგი ..................... 0:2
ლილესტრიომი-ჰაუგესუნდი ..................... 1:1
რანჰეიმი-სანდერფიორდი ..................... 1:1
სტაბეკი-მოლდე ..................... 3:1
სტრომგოდსეტი-სტარტი ..................... 1:1
ვალერენგა-ტრომსო ..................... 3:0

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ჰიკი-კემი ..................... 0:0
მარიჰამნი-ჰონკა ..................... 0:0

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# ძიუდოს ფედერაცია ჭრიკიშვილის განცხადებას ეხმაურება



საქართველოს ძიუდოს ფედერაცია ავთანდილ ჭრიკიშვილის ბრალდებებს სპეციალური განცხადებით გამოეხმაურა და ამ თემაზე კომენტარის გაკეთება მიზანშეწონილად არც კი მიიჩნია.

– გამომდინარე დიდი საზოგადოებრივი ინტერესისა, ავთანდილ ჭრიკიშვილის გავრცელებულ განცხადებასთან დაკავშირებით, გვსურს, ორიოდ სიტყვით დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიცია. 2018 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდგომ, თითოეულ სპორტსმენს, რომელიც მოიაზრებოდა მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაკრებ გუნდში მოხვედრის კანდიდატად, საშუალება მიეცა, ესასპარეზა ყველა საერთაშორისო ტურნირზე, ასევე გაეარა მოთხოვნილი სასწავლო-საწვრთნელი შეკრება.

საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის დროებით შექმნილი მმართველობითი სამუშაო ჯგუფის უკანასკნელი შეხვედრის დროს, ძიუდოს ეროვნული ნაკრები გუნდის მწვრთნელთათვის, მიღებულ იქნა შემდეგი სახის დადგენილება: 2018 წლის 20-27 სექტემბრის მოახლოებულ მსოფლიოს ჩემპიონატთან დაკავშირებით, ნაკრები გუნდის ჩამოყალიბებისა და დაკომპლექტების მიზნით, ნაკრები გუნდის მწვრთნელებს დაევალათ, ურთიერთშეთანხმებით წარმოადგინონ ნაკრები გუნდის დაკომპლექტების ხედვა, რაც მათი მხრიდან დღემდე არ არის შემოტანილი და, ბუნებრივია, ჩვენგან რამე ტიპის განცხადების გაკეთება არ იქნება მიზანშეწონილი.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ, ავთანდილ ჭრიკიშვილმა სოციალურ ქსელში წერილი გამოაქვეყნა, რომელშიც ის აღნიშნავს, რომ მას მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრის შანსს უსპობენ და მზად არის, ნებისმიერს დაუპირისპირდეს.

# რეხვიაშვილის ოქრო და გზა მსოფლიოსკენ



საქართველოს ძიუდოისტთა 7-კაციანმა ნაკრებმა მინსკში ჩატარებულ ევროპის ღია თასზე ერთი მედალი მოიპოვა, მაგრამ – უმაღლესი ხარისხის. ოქროს მედლის მფლობელი 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე ზებედა რეხვიაშვილი გახდა და ამ გამარჯვებით მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრება პრაქტიკულად დაიბევა.

მსოფლიოს ჩემპიონატი ძიუდოში სექტმბრის ბოლოს აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში გაიმართება, 81 კგ-ში კი გაურკვეველი სიტუაცია იყო. სწორედ ამიტომ ამ წონაში მინსკში 4 ქართველი გამოდიოდა. კობა მჭედლიშვილმა 2 ბრძოლა მოიგო, გიგა გიგაურმა – ერთი, ხოლო ტატო გრიგალაშვილი პირველსავე ბრძოლაში დამარცხდა. კიდევ ერთ ლიდერს, თამაზ კირაკოზაშვილს მინსკში არ უჭიდავია, რადგან პროტესტი გამოთქვა და ამით ბაქოში წასასვლელი გზა მოიჭრა.

დავუბრუნდეთ რეხვიაშვილს: ზებედამ მინსკში ყველა შეხვედრა დამაჯერებლად, სუფთად მოიგო. ჯერ გაფრთხილებებით მოახსნევინა ესტონელი ასლანბეკ მაგომედკარიმოვი, შემდეგ რუსი დიმიტრი იარცევი იპონით დასცა, მეოთხედფინალში იგივე გაუმეორა სომეხ დავიდ სარგსიანს, ხოლო ნახევარფინალში რუსების სახელით მოჭიდავე – ირაკლი ბარამიას. რეხვიაშვილს ფინალში მეტოქედ კანადელი ეტიენ ბრაიანდი ერგო და ისიც ვადაზე ადრე დააგდო ტატამზე.

# უნიკალური ჯიჯი ბუფონი




საოცარი ფეხბურთელი ჯანლუიჯი ბუფონი. მისი კარიერა 23 წლის წინ პარმაში დაიწყო, შემდეგ იუვენტუსში გაგრძელდა და ახლა ფრანგულ პსჟ-ში მიმდინარეობს.

ჯიჯიმ უკვე ჩაატარა პირველი მატჩი პარიზული კლუბის შემადგენლობაში, სადაც მისმა გუნდმა საფრანგეთის ლიგა 1-ის მეორე ტურში გენგამი 3:1 დაამარცხა. სწორედ ამ შეხვედრაში დაფიქსირდა ერთი საინტერესო ფაქტი – ბუფონმა მარკუს ტურამის წინააღმდეგ ითამაშა.

ეს ფაქტი იმ მხრივაა გამორჩეული, რომ მარკუსი ლეგენდარული ფრანგი ფეხბურთელის, ლილიან ტურამის ვაჟია. ჯიჯი და ლილიანი კი წლების განმავლობაში თანაგუნდელები ჯერ პარმაში, შემდეგ კი იუვენტუსში იყვნენ.

ისიც საინტერესოა, რომ მარკუს ტურამი 1997 წელს სწორედ პარმაში დაიბადა და იმხანად მამამისის თანაგუნდელი ბუფონი გახლდათ. ცხადია, ნამატჩევს ვეტერანმა კიპერმა მეგობრის შვილთან მაისურებიც გაცვალა.

მსგავსი ფაქტი ბუფონის კარიერაში პირველად არ მომხდარა. 2017 წელს მის კარში გოლი ფედერიკო კიეზამ გაიტანა, რომლის მამასთან, ენრიკოსთან ერთად პარმაში და იტალიის ნაკრებში გამოდიოდა, ხოლო ჟორჟე ვეას წინააღმდეგ არაერთხელ უთამაშია და ახლა მისი შვილი ტიმოთი პსჟ-ში მისი თანაგუნდელია.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: 1997 წელს ბუფონმა ლილიან ტურამთან ერთად ითამაშა ჟორჟ ვეას წინააღმდეგ, ხოლო 2018 წელს ბუფონმა ვეას შვილთან ერთად ითამაშა ტურამის შვილის წინააღმდეგ.

# ჯოკოვიჩმა ისტორია დაწერა

საჩოგბურთო სამყაროში 9 მასტერსის სერია არსებობს. 2013 წელს ნოვაკ ჯოკოვიჩს 8 მათგანი ჰქონდა მოგებული. 5



წელი ცდილობდა სერბი, შეეკრა წრედი, მაგრამ ვერა და ვერ ახერხებდა. ის ერთი, რომელიც ჯოკოვიჩისთვის ესოდენ მიუწვდომელი გახლდათ, ცინცინატის მასტერსი იყო.

ჯოკოვიჩს აქამდე ცინცინატში 5 ფინალი ჰქონდა ნათამაშები და ყველა წარუმატებლად. ორჯერ ენდი მარიმ არ დაანება გამარჯვება, სამჯერ კი – დიადმა როჯერ ფედერერმა.

ამჯერად კი ნოლემ ნავსი გატეხა – ჯოკოვიჩმა ცინცინატის მასტერსის ფინალში როჯერ ფედერერს 6:4, 6:4 მოუგო და გახდა პირველი ჩოგბურთელი, რომელმაც კარიერაში ცხრავე მასტერსის ტიტული დაისაკუთრა.

**ნოვაკ ჯოკოვიჩი:**

– უზომოდ ბედნიერი ვარ. ასეთი შედეგი მხოლოდ ჩოგბურთელს კი არა, ნებისმიერი სპორტის სახეობის წარმომადგენელს გაახარებდა. რა თქმა უნდა, მეც ამაყი ვარ.

**როჯერ ფედერერი:**

– ვფიქრობ, დღევანდელ ფინალურ დაპირისპირებაში ჩემს შეცდომებზე კი არა, ყურადღება იმაზე უნდა გაამახვილოთ, რომ ნოვაკმა ისტორია გადაწერა.

ჯამში ნოლეს 31 სამასტერსო თასი მოუგროვდა და ამ მაჩვენებლით მხოლოდ რაფაელ ნადალს ჩამორჩება. ესპანელის ანგარიშზე 33 ტიტულია.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## ამერიკელს ჯუჯის ნაცვლად ჩვეულებრივი ღორი მიჰყიდეს



ამერიკელი ქალის მიერ ნაყიდი მინიპიგი, ჯუჯა ღორი, 114-კილოგრამიან ღორად გაიზარდა.

ლოს-ანჯელესში მცხოვრებმა მარსელა იგლესიასმა ფერმერულ ბაზრობაზე შინაური ცხოველი იყიდა. მან ყველაზე პუტკუნა მინიპიგი შეარჩია და ჩუი დაარქვა. იგლესიასი ფიქრობდა, რომ ის როდესაც გაიზრდებოდა, წონაში 20 კილოგრამს არ გადააჭარბებდა, თუმცა „ჯუჯა" ღორი სულ იზრდებოდა და ასე გრძელდებოდა სამი წლის განმავლობაში.

იმ ფაქტმა, რომ მას მინიპიგის მაგივრად ჩვეულებრივი ღორი მიჰყიდეს, ამერიკელ ქალბატონს მასზე უარი ვერ ათქმევინა.

– მე ჩუის ბრძანებების შესრულება ვასწავლე, დაჯდომა, ფეხის აწევა, დაძახებაზე გამოხმაურება და სახლის გარეშეთაგან დაცვა. ბევრ ადამიანებს დავანახე, თუ როგორი სისუფთავის მოყვარულები არიან სინამდვილეში ღორები, – განაცხადა იგლესიასმა.

ქალი ჩუის ოჯახის წევრად თვლის და მასზე საბუთებიც კი გააფორმა, როგორც თერაპიულ ცხოველზე, რომელიც სირთულეების დაძლევაში ეხმარება.

## ღარიბმა მეთევზემ ზღვაში ბოთლებისგან დამზადებული ნავით შეცურა

ღარიბმა პალესტინელმა მეთევზემ ნავი ცარიელი ბოთლებისგან ააგო. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ჩინური გამოცემა ავრცელებს.

35 წლის მუატ აბუ ზეიდმა დაახლოებით 700 ცარიელი ბოთლი შეაგროვა და წებოსა და ძველი სათევზაო ბადეების დახმარებით ნავი დაამზადა. ზევიდან მას ხის დაფა დაამაგრა, რომელიც დასაჯდომის მაგივრობას ასრულებს.

მეთევზე ამტკიცებს, რომ მისი ნავი რვა ადამიანის სიმძიმეს უძლებს.



ზეიდი ყოველდღე ჯდება ნავში და ხმელთაშუა ზღვაში გადის. იმ ადგილამდე მისაღწევად, სადაც თევზის დაჭერა შესაძლებელია, სანაპიროდან რამდენიმე ასეული მეტრის გავლაა საჭირო.

რვა საათის განმავლობაში ზეიდი ხუთი-შვიდი კილოგრამი კეფალის, სარდინისა და სხვა წვრილი თევზის დაჭერას ახერხებს, შემდეგ კი გზისპირას ყიდის. ასეთი ხერხით დღეში მისი შემოსავალი 20-დან 40 შეკელამდე აღწევს. მას იმედი აქვს, რომ სათევზაო ბადის შეძენის შემდეგ შემოსავალი გაეზრდება, ჯერჯერობით კი თევზაობა უბრალო ანკესით უწევს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# ასტროპროგნოზი

## 21 აგვისტოსთვის



**ვერძი** – დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ, თუმცა დაბრკოლებებს თავს მაინც ვერ დააღწევთ. ნერვებს გაუფრთხილდით. **კურო** – კეთილისმყოფელი დღეა. საყიდლებზე წასვლა გაგახალისებთ. ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით. **ტყუპები** – შრომისუნარიანობა ქვეითდება. ეცადეთ, ადრე დაწყებული საქმეები მაინც დაამთავროთ. **კირჩხიბი** – სანამ მოქმედებას დაიწყებთ, სიტუაცია საგულდაგულოდ გააანალიზეთ. ინდივიდუალური მუშაობა რეკომენდებული არ არის. **ლომი** – მიუხედავად გარეგნული სიმშვიდისა, შინაგანად დაძაბული და აფორიაქებული ხართ. უმჯობესია, თუ განმარტოვდებით და დაისვენებთ მყუდრო გარემოში. **ქალწული** – სასიცოცხლო პოტენციალი მკვეთრად ქვეითდება. სირთულეები შეგექმნებათ ხელმძღვანელობასთან და მეგობრებთან ურთიერთობაში. **სასწორი** – ერიდეთ ხალხმრავლობას. გიჯობთ, განმარტოვდეთ, იკითხოთ წიგნები, უბრალოდ, დაისვენოთ ყოველდღიური ალიაქოთისაგან. **ღრიანკალი** – თქვენი ავტორიტეტი საფრთხის ქვეშ არის. კრიტიკას მეტისმეტად მტკივნეულად ნუ მიიღებთ. მშვიდად იყავით. **მშვილდოსანი** – შესაფერისი დროა გარემოს შესაცვლელად და გასართობად. იზრუნეთ საკუთარ თავზე. **თხის რქა** – ირწმუნეთ საკუთარი ძალების. სხვის იმედზე ნუ იქნებით. თქვენი მომხიბვლელობა საოცრად იზრდება. **მერწყული** – ნუ იქნებით ზედმეტად მომთხოვნი და კატეგორიული. ფინანსებს გაუფრთხილდით. **თევზები** – აფორიაქებული ხართ. საქმიანი პარტნიორის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას უცებ ნუ დათანხმდებით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მხატვრულად გაფორმებული რბილყდიანი ბროშურა; 2. ხევსურული ტანსაცმელი; 3. ძღვენი, საჩუქარი; 4. სევანის ტბის ძველი სახელწოდება; 5. ქალაქ ფოთის პირველი მერი; 8. ვენესუელის დედაქალაქი; 12. გერმანული ავტომობილი; 13. საერთაშორისო ხელშეკრულება, შეთანხმება; 14. მთიანეთი სამხრეთ ამერიკაში; 16. საკარმიდამო მამული ბრაზილიაში; 18. ბალნეოლოგიური კურორტი რაჭაში; 20. ცხვრის ქონიანი კუდი.

**თარაზულად:** 6. თათარაში ამოვლებული ნიგვზის ან თხილის ასხმულა; 7. საზეიმო კონცერტის დასკვნითი ნაწილი; 8. ცნობილი ბერძენი საოპერო მომღერალი ქალი; 9. მონასტერი ოჩამჩირის რაიონში; 10. ბაქტერიების მშთანთქავი უჯრედი ცოცხალ ორგანიზმში; 11. ქართველი შტანგისტი, მსოფლიო, ოლიმპიური ჩემპიონი; 15. საავტომობილო საბურავების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 17. კინოს ძველი სახელწოდება; 19. ქართველი მხატვარი ქალი; 21. საგამოფენო შენობა; 22. რამე საქმის ზერელედ მცოდნე; 23. კატისებრთა ოჯახის მტაცებელი ცხოველი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**სკანვორდის პასუხები:**

1. სანორჩი; 2. დირე; 3. ჩურჩხელა; 4. დრო; 5. კუ; 6. პლატონი; 7. მატჩი; 8. ეი; 9. ბადრო; 10. რიელი; 11. პან; 12. ანთროპოლოგია; 13. პაი; 14. იროკეზი; 15. მარაო; 16. პა; 17. რუ; 18. კომეტა; 19. გორან; 20. ონი; 21. ოზმა; 22. გმირი; 23. ბრომი; 24. მორალი; 25. მი; 26. კიოსკი; 27. კი; 28. ის; 29. ანატოლია; 30. დიორი; 31. მუსოლინი; 32. ბირდაბირი; 33. პოლიტიკა.

**სურათებზე:** ან პარიიო; ჟუნინიო პერნამბუკანო.

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. კომედია; 3. ნიკელი; 8. ლექცია; 10. მაქმანი; 11. ნისლა; 12. ჭიპილია; 14. სტატია; 15. სკიპტრა; 16. რვალი; 19. კალამი; 20. მილიონი; 21. ლაფანი.

**შვეულად:** 1. კომპიუტერი; 2. იარაღი; 3. ნავარდი; 4. ლანდი; 5. ლეგალური; 6. უცუნა; 7. ჩახმახი; 9. მელოტი; 13. ატოლი; 17. არია; 18. ბოი.

## ნინო ქათამაძე დაბადების დღეს კონცერტით აღნიშნავს



მომღერალი ნინო ქათამაძე თავის დაბადების დღეს ტრადიციულად კონცერტით აღნიშნავს.

ბათუმში 21 აგვისტოს მომღერლის დაბადების დღეზე სპეციალური კონცერტი გაიმართება, სადაც იუბილარი თავის მეგობრებთან ერთად დაუვიწყარ საღამოს აჩუქებს მსმენელს.

ნინო ქათამაძეს ტრადიციად აქვს, რომ ყოველი წლის 21 აგვისტოს ბათუმშია და საკუთარ დაბადების დღეზე უამრავ სტუმარს ეპატიჟება. ახალი სიმღერები, ძველი ჰიტების ახლებური ინტერპრეტაცია, ბევრი სიურპრიზი და ერთგული მსმენელის უწყვეტი ტაში და ოვაცია – ეს ნინო ქათამაძის ყველაზე ძვირფასი სადაბადებისდღეო საჩუქარია.

## მიშო სულუხია მასშტაბური აქციების მომხრეა



მომღერალი მიშო სულუხია მასშტაბური აქციების მომხრეა. ხელოვანის აზრით, რუსეთის ფედერაციის მიერ სასაზღვრო ოკუპაცია მიუღებელია და ის მოსახლეობის გაჩუმებით გაკვირვებულია:

– მასშტაბური აქცია, მსვლელობა, კამპანია ან პერფორმანსი, აღარაფერს ვამბობ ინტერნეტსივრცეებში ხმამაღალი და თვალში მოსახვედრი განცხადებების გაკეთებაზე.

ყველაფრისთვის მზად ვარ რუსეთის ფედერაციის უსამარცხვინოესი მომდევნო სასაზღვრო ოკუპაციის წინააღმდეგ. ნუთუ ხმას ვერ ვიმაღლებთ და ასე ვაპირებთ ყოფნას.

ერთი და იგივეა ის რუსი, ვინც ამას აკეთებს და კიდევ ის ქართველი, ვისაც ეს საკითხი ისე არ აწუხებს, რომ ღამე მშვიდად ეძინოს.

## ელენა პროკლოვამ ბუბა კიკაბიძის იუბილეზე დასწრება გადაიფიქრა



მსახიობმა ელენა პროკლოვამ, რომელიც გია დანელიას ფილმ „მიმინოში“ ლარისა ივანოვნას როლს ასრულებს, ბუბა კიკაბიძის 80 წლის საიუბილეო კონცერტებში მონაწილეობა გადაიფიქრა.

ოპერის მომღერალმა თამარ ივერმა და ცხოველთა დამცველებმა პროტესტი გამოთქვეს პირსისხლიანი მონადირის ელენა პროკლოვას ბათუმში ვიზიტთან დაკავშირებით. თუკი იუბილარი მომღერალი თავის კონცერტებში ელენა პროკლოვას მიწვევას არ გადაიფიქრებდა, თამარ ივერი და მისი თანამოაზრეები საპროტესტო აქციებით იმუქრებოდნენ.

**თამარ ივერი:**

– ჩვენი აქტიური პროტესტის გამო პირსისხლიან მონადირე ელენა პროკლოვას „გადააფიქრებინეს“ ბატონი ვახტანგ კიკაბიძის იუბილეზე დასწრება. კიდევ ერთი გატანილი „გოლი“ უსამართლობის კარში!

## როგორ აღინიშნა გია ყანჩელის, ანზორ ერქომაიშვილისა და ზურა ყიფშიძის იუბილეები



ქართული კულტურის სამ თვალსაჩინო წარმომადგენელს – გია ყანჩელს, ანზორ ერქომაიშვილსა და ზურა ყიფშიძეს დაბადების დღე ერთ დღეს აქვთ. მათ რიგითი მაყურებლისგან უამრავი მილოცვა მიიღეს, თუმცა ტელევიზიებს ამ საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით არ უაქტიურიათ.

ქართული კულტურის დიდი გულშემატკივარი ზაზა მუჯირი-გურამიშვილი ტელევიზიების დუმილით გაკვირვებულია:

– რომელიმე უმცირესობის, ანუ ამღვრეული სექსუალური ორიენტაციის წარმომადგენლის ან უნიჭო ე.წ. ვარსკვლავის დაბადების დღე რომ იყოს, ხმის ჩახლეჩამდე იბღავლებდა ყველა ტელევიზია, არაერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, ათასი ჯურისა თუ ფერის ვიღაც-ვიღაცები. ტვინს ამ სიცხეში კიდევ უფრო აგვიდუღებდნენ მათ „დიდ დამსახურებებზე სამშობლოს წინაშე“, ვინ ფეხი ზევით მარდად ასწია თუ გაშალა, ვინ უკანალი უფრო მკვეთრად გამოზნიქა და ასე დაუსრულებლად.

არადა, ჩვენთვის, ქვეყნისთვის, ერისთვის დიდად საამაყო სამეულის იუბილეა: გია ყანჩელის 83, ანზორ ერქომაიშვილის 78 და ზურაბ ყიფშიძის 65. სამადლოდ, საყველპუროდ შეიძლება რომელიმე ტელეარხს კი წამოსცდეს ეს ამბავი და წამოიკნავლოს კიდეც, მაგრამ მთავრობას გაახსენდა ან გაახსენდება და დააფასებს ამ ღირსეულ მამულიშვილებს, რა თქმა უნდა, ისე, როგორც ამათ შეჰფერის, ეკადრება – ღირსეულად?!

სამაგიეროდ, ჩვენ გვახსოვს, ვაფასებთ, გვიყვარს და გულითადად ვულოცავთ შესანიშნავ სამეულს თავიანთ დაბადების დღეს!

ულრმეს მადლობას ვუხდით უზარმაზარი ღვაწლის, დამსახურების გამო და კიდევ ერთ მადლობას ვუხდით წინასწარ, ხვალიდან ერთ ამდენს რომ გააკეთებენ, შესძენენ, გაამდიდრებენ ისევ ჩვენი ქვეყნის,ეროვნული კულტურის, ხელოვნების საგანძურს!

ერის სათაყვანო ადამიანებო, მრავალ მარიამობის თვეს, თქვენს დაბადების დღეს დაგასწროთ დედაღვთისმშობელმა!

და ისევ პათეტიკა: ქვეყანას, რომელმაც ერთ დღეს სამი ბუმბერაზი შვა, გადაშენება, გადაგვარება, გადაჯიშება არ უწერია, ნამდვილად არა და არა!

თავმოყვარე ერი ასეთ მოღვაწეებს სიცოცხლეშივე უნდა უდგამდეს ძეგლებს.

მოწიწების, თაყვანისცემის, პატივისცემის ნიშნად მდაბლად ვხრით თავს თქვენი დიდი, აუწონელი, შეუფასებელი, დაუფასებელი დამსახურების წინაშე!

## ეკა კვალიაშვილი უცხოელებზე მიწების გამყიდველს მოღალატეს უწოდებს



მომღერალი ეკა კვალიაშვილი უცხოელებზე ქართული მიწის გამყიდველს მოღალატეს უწოდებს და მოითხოვს სახელმწიფოსაგან, გამკაცრდეს კანონი უცხოელებისთვის მოქალაქეობის მინიჭებასთან დაკავშირებით:

– ჩემო კეთილო, სტუმართმოყვარე, ყველანაირ ეტიკეტს რომ სცდება, ისეთო და საკუთარის დაუნდობელო უმრავლესობავ, აღვნიშნავდი კიდევ ფულის მოყვარულებს, აი, ისეთებს სუუუ რომ ჰკიდიათ საკუთარი ქვეყანაც, შვილიც და ძირიც და სხვისი ხო წარმოგიდგენიათ, იმისათვის, რომ გააკეთოს ფული ვიღაც მდიდარ ჩამოსულ არაბზე, სულ მიჰყიდის ყველაფერს ქართულს, ალბათ სული ვერ ამოიგლიჯეს და არც არავის უნდა, თორემ კაი ფასად ალბათ გაყიდდნენ!

არავინ დამაბრალოს, სტუმარი არ უყვარსო, ფული სძაგსო და ათასი რაღაც, სტუმარიც მიყვარს და ბევრი ფულიც მჭირდება, ისევე, როგორც ყველას, მაგრამ სამშობლო ერთია, ქალაქი ერთია, აღმაშენებლის გამზირიც ერთია, ისე, ცნობისთვის, ჩვენს ქალაქს და ქვეყანას ყიდულობენ, ისედაც დაგლეჯილს! და იცით, რატომ, მიდის ბაზრობა და ვაჭრობა საქართველოთი და ისევ ქართველი ყიდის...

ბაბუაჩემი საუკუნეების წინ ხმლის ქნევაში რომ მოკვდა, სამშობლოს იცავდა, შვილი რომ შესწირა საქართველოს სიყვარულს, ხოო, გიორგი სააკაძეზეა საუბარი და სხვა რამდენი გმირი მეფეები და გულიანი ქართველი ვაჟკაცები ჩამოვთვალო, კბილებით რომ იცავდნენ სამშობლოს...

მისხალ-მისხალ ყიდულობს ვიღაც მდიდარი არაბი აქაურობას, მათი ცოლები ისეთ ფორმაში დადიან ჩემს და თქვენს ქალაქში, გაიგე, ქალია თუ კაცი, იქნებ გიჟია ვიღაც, იქნებ იარაღს მალავს, ვინ ჯანდაბაა, აქ, ამ ქვეყანაში ასე რომ დადის, როდესაც მათთან ვერავინ ჩადიოდა თავდაუბურავი, ჩაქოლავდნენ. ასე რომ არ ყოფილიყო, აქ რატომ აქვთ უფლება ასე სიარულის, რატომ?

ჩემო საყვარელო საქართველოს მკვიდრნო, მოქალაქეებს არ ვიტყვი, რადგან გადაივსო იუსტიციის სახლი, მოქალაქეობის გაცემაზე რიგია... ჰმ, გასკდა ეს გული და პატრონი არაა. ხალხო, ვისაც გეხებათ ეს, არ გრცხვენიათ? ემ კვადრატი (მ2) კარტოზიას ქუჩაზე არაბეთადაა გადაქცეული. ჩვენი კანონი ამათ იცავს! ეს ქართველები კი დგანან და ერთმანეთს ჭამენ!

ემ კვადრატს დაცვა ჰყავდა, მე იქ ვცხოვრობდი 2 წელი. ვიცნობდი ყველას და ძალიან სასიამოვნო გარემო იყო. ერთ დღეს ვიღაც შაოსანი, სრულიად ჩამოფარებული რაღაც არსება გამოვიდა ეზოში. ეს ვინაა, რას ნიშნავს ეს ყველაფერი-მეთქი, არაბები არიანო. სტუმარი ვიცი მე, რომ მოვა და წავა! მე რომელიმე ეროვნების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მე ჩემი ქვეყანა მტკივა! ცოტა ხნის წინ ერთ-ერთი დაცვის თანამშრომელი შემხვდა და მითხრა, ყველა გამოგვიშვეს სამსახურიდანო. დავინტერესდი, ბუნებრივია, რატომ? იმიტომ რომ ეს არაბი ქალები ვერ გადი-გამოდიან უცხო კაცების ახლოს. რატომ, ხალხო, რატომ უნდა დარჩეს უმუშევარი ქართველი საქართველოში ამათ გამო, რატომ?

იცით რა, არაბი ყიდულობს, არაფერს აშავებს ამით, აბანდებს ფულს, აი, ჩვენ რას ვაკეთებთ, რატომ ვყიდით ამ ნაწამებ მიწას, რატომ? შვილებს მონებად ვზრდით თუ რას ვაკეთებთ? აღარაფერი დარჩებათ ჩვენს შვილებს, არც ერთი გოჯი მიწა საკუთარ ქვეყანაში. არავის უფიქრია ნეტა ამაზე? სანამ დროა, აზრზე მოვიდნენ ისინი, ვისაც ეხება ეს და ჩვენ, არ ვიცი, რამე უნდა მოვიფიქროთ საღად მოაზროვნეებმა ან კანონში შევიდეს რაღაც ცვლილება, ან ახალი კანონი გამოუშვან ამის თაობაზე, რომ არ გაიყიდოს მიწა, არ მიეცეთ მოქალაქეობა, შეეზღუდოთ უფლებები და დაწესდეს, რამდენ თვეს მოიცავს მიგრირებულების ვიზიტი საქართველოში.

ბოლოს და ბოლოს, დავემსგავსოთ სახელმწიფოს და შევდგეთ, როგორც ქვეყანა, რომელსაც გააჩნია მყარი კანონმდებლობა! და ბოლოს, თავისი ადგილი ჰქონდეს ყველას!

და რომელი ქართველიც გაყიდის ქართულ ტერიტორიას, მიწას, ჩაეთვალოს სამშობლოს ღალატად, სამშობლოს გაყიდვად! რადგან ასეთი ადამიანი უსიყვარულოა, ბოროტია და უნამუსოა!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## კალეიდოსკოპი

### თუთიყუშს გამოკიდებული მამაკაცი ტალახმა ჩაითრია



ამერიკის ილინოისის შტატის ქალა ბელვილში გადაარჩინეს მამაკაცი, რომელიც ტალახში ჩაეფლო. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

მამაკაცი თუთიყუშს გამოედევნა, პარკში ტბის სანაპიროზე ტალახში შევიდა და დამოუკიდებლად უკან გამოსვლას ვეღარ ახერხებდა. მისი ყვირილი გამვლელებმა გაიგონეს და მეხანძრეები გამოიძახეს. მათი მოსვლისთვის მამაკაცი უკვე წელამდე ტალახში იყო ჩაფლული.

მეხანძრეებმა მიწაზე კიბე გაშალეს და მამაკაცს ტალახიდან ამოსვლაში დაეხმარნენ. სამაშველო ოპერაციის დროს თუთიყუში, რომლის გამოც აღმოჩნდა მამაკაცი ასეთ სიტუაციაში, მას მხარზე ეჯდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

### ლატარიის ბილეთის ყიდვის დროს დაშვებულმა შეცდომამ ამერიკელს სოლიდური თანხა მოაგებინა



ამერიკელმა ქალბატონმა ლატარიაში 100 ათასი დოლარი იმის წყალობით მოიგო, რომ ინტერნეტით ყიდვის დროს არასწორად შეავსო ბილეთი.

მიჩიგანის შტატის ქალაქ ვესტლანდის მცხოვრები ლინდა კეიანჩუკი ლატარიის ერთი ბილეთის შეძენას აპირებდა, რომლის მოქმედების ვადა ექვს გათამაშებაზე იქნებოდა გათვალისწინებული. თუმცა 64 წლის ქალბატონმა სწორად ვერ შეძლო ფორმის შევსება და ერთის ნაცვლად ექვსი ბილეთი შეიძინა ერთ გათამაშებაზე. ის ვერც მიხვდებოდა საკუთარ შეცდომას, მეორე დღეს საკუთარ კაბინეტში რომ არ ენახა, რომ 100 ათასი დოლარი მოიგო. მის მიერ შეძენილი ბილეთებიდან ორში ექვსიდან ხუთი ციფრი დაემთხვა, ხოლო დანარჩენ ოთხში – ოთხი.

კიანჩუკმა მოგებული პრიზი მიიღო და განაცხადა, რომ ამ თანხით საოცნებო შვებულების მოწყობას აპირებს.

### ჩინელი სახლის დანგრევის ყურებით გაერთო და კინაღამ ნანგრევებში მოყვა



ჩინელმა მამაკაცმა ბოლო მომენტში მოახერხა, თავი დაეღწია სახლისგან, რომელიც ძირს ვარდებოდა. ის სწორედ მისი დანგრევის საყურებლად იყო მისული. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ვიდეოზე ჩანს, რომ მამაკაცი სახლების ნანგრევებს შორის ზის და უყურებს, თუ როგორ ანგრევენ ხუთსართულიან შენობას. როდესაც სახლმა მის მხარეს ვარდნა დაიწყო, მამაკაცი წამოხტა და გაიქცა. ის ბეწვზე გადარჩა, წაიბორძიკა და დაეცა. ის მტვრის სქელმა ღრუბელმა დაფარა.

ვიდეორგოლი ფართოდ გავრცელდა სოციალურ ქსელებში. რამდენიმე ინტერნეტ-მომხმარებელმა აღნიშნა, რომ ეს შემთხვევა მამაკაცს გაკვეთილად გამოადგება და წინაპრების სულებს მადლობა უნდა უთხრას გადარჩენისთვის.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**21 აგვისტოსთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 2.5779
- ევრო — 2.9344
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2752
- 100 რუსული რუბლი — 3.8267

## ამინდის პროგნოზი 21 აგვისტოსთვის




# საავადმყოფოში ერთდროულად 16 მედდა დაფეხმძიმდა



ამერიკის არიზონის შტატის ერთ-ერთ საავადმყოფოში ერთდროულად 16-მა მედდამ განაცხადა, რომ ფეხმძიმედ იყვნენ, – იტყობინება სი-ენ-ენ-ი.

სამედიცინო დაწესებულების თანამშრომლები ირწმუნებიან, რომ ერთდროულად დედად გახდომაზე არ შეთანხმებულან. ყველა მედდამ მიმდინარე წლის ოქტომბრიდან 2019 წლის იანვრის ჩათვლით უნდა იმშობიაროს. ყველა ფეხმძიმეს 12-კვირიან დეკრეტულ შვებულებაში გაუშვებენ. საავადმყოფოს ადმინისტრაციაში აღნიშნეს, რომ უკვე დიდი ხანია, ასეთი რაოდენობის თანამშრომლის სამსახურიდან დროებით წასვლისთვის ემზადებიან.

გარდა ამისა, მედდები მათი ფეხმძიმობის დროს რამდენიმე მოვალეობის შესრულებისგან გაათავისუფლეს, მაგალითად, მათ უფლება მისცეს, არ ჩაატარონ ქიმიოთერაპია და არ მოემსახურონ ტუბერკულოზით დაავადებულებს.

# ტრამპმა მეუღლის ავეჯი ჩუმად მოიშორა



აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა თავისი მეუღლის, მელანიას მიერ შერჩეული ავეჯი მოიშორა და შეცვალა ისეთით, რომელიც უფრო მეტად მიესადაგებოდა მის პირად გემოვნებას.

გაირკვა, რომ თეთრ სახლში გადასვლამდე ნახევარი წლით ადრე მელანია ტრამპმა ინტერიერის რამდენიმე თანამედროვე მინიმალისტური ნივთი შეარჩია, თუმცა მეუღლის არყოფნის დროს დონალდ ტრამპმა მისი ავეჯი უფრო მდიდრული, მოოქროვილი, ლუდოვიკო XIV-ის სტილის ნაკეთობებით შეცვალა.

მელანია ტრამპთან დაახლოებული პირების აზრით, პრეზიდენტის ასეთი ქმედება იმაზე მეტყველებს, რომ მას არ შეუძლია, მეუღლეს სულ უმნიშვნელო რამეც კი დაუთმოს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# პოლ სქოულზმა პოგბა ისევ გააკრიტიკა



მანჩესტერ იუნაიტედის ლეგენდა პოლ სქოულზმა თავისი გუნდის ბრაიტონთან თამაშზე ისაუბრა და თქვა, რომ პოგბა ვერ ასრულებს ლიდერის ფუნქციებს. სქოულზის აზრით, მანჩესტერის მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ამ გუნდს მოედანზე ლიდერი არ ჰყავს:

– პოგბას ლიდერობა არ გამოსდის, რადგან ის არასტაბილურია. ბრაიტონის წინააღმდეგ მან საშინელი მატჩი ჩაატარა და ეს შედეგზეც აისახა. იუნაიტედს სჭირდება ლიდერი, რომელიც რთულ მომენტში თამაშს თავის თავზე აიღებს.

ბრაიტონთან მანჩესტერი 2:3 დამარცხდა.

# მოდრიჩმა ინტერთან დაკავშირებული ჭორები უარყო



მადრიდის რეალის ხორვატმა ნახევარმცველმა ლუკა მოდრიჩმა ინტერთან დაკავშირებული ჭორები უარყო და თქვა, რომ რეალიდან არ მიდის.

მოდრიჩმა გავრცელებულ ინფორმაციას სისულელე უწოდა.

– ინტერში გადასვლას არ ვაპირებ და არ ვიცი, საიდან ჩნდება მსგავსი ინფორმაციები. რეალში ძალიან ბედნიერი ვარ და მინდა, რომ ამ გუნდში დავასრულო კარიერა, – განაცხადა ლუკა მოდრიჩმა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

# იუმორი

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– რაღაც ფერმკრთალი მეჩვენები და ექიმთან რატომ არ მიდიხარ?

– რაც სამედიცინო დავამთავრე, ექიმების შიში დამჩემდა.

– რატომ?

– მეშინია, რომელიმე ჩემი თანაკურსელი არ გამოდგეს.

•••

ორი მინისტრი ზღვაზე ისვენებს. პლაჟზე წვანან. ერთი მეორეს ეუბნება:

– იცი, ზოგჯერ ღამით თავში საქმიანი აზრები მომდის და ამიტომ გვერდით ყოველთვის მიდევს ბლოკნოტი და ფანქარი.

– მე კი მდივანი მყავს გვერდით.

•••

პაციენტი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, მხარზე ამ ადგილს ხელით რომ ვეხები, ძალიან მტკივა.

– მერე შენც ნუ შეეხები, ვინ გაძალებს?!

•••

მოსამართლე მოსარჩელეს ეკითხება:

– თქვენ ამტკიცებთ, რომ საკრედიტო ბარათის დაკარგვის თაობაზე იმიტომ არ განაცხადეთ, რომ ქურდი თქვენს მეუღლესთან შედარებით გაცილებით ნაკლებ ფულს ხარჯავდა?

– დიახ, თქვენო ღირსებავ!

– მაშინ ახლა რატომღა განაცხადეთ?

– როგორც ჩანს, ჩემი საკრედიტო ბარათი ქურდის ცოლს ჩაუვარდა ხელში!

•••

ცოლი ქმარს ალერსიანი ხმით ეკითხება:

– ძვირფასო, მითხარი, ლამაზი თმა მაქვს?

– რა თქმა უნდა.

– თვალებიც ლამაზი მაქვს?

– ლამაზი გაქვს.

– და ცხვირი?

– ცხვირიც ლამაზი...

უცბად ქმარი გამოერკვა და დაეჭვებული ეკითხება:

– დაიცადე, რა, სარკეში შენი გამოსახულება აღარ აირეკლება?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## ბოაი

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით




# ჟოზე მოურინიომ, შესაძლოა, მანჩესტერ იუნაიტედი დატოვოს



ბრაიტონთან წაგების შემდეგ მანჩესტერ იუნაიტედში საკმაოდ დაძაბული მდგომარეობაა და, შესაძლოა, მალე ჟოზე მოურინიო თანამდებობიდან გაათავისუფლონ.

მოურინიოს კონფლიქტი აქვს რამდენიმე ფეხბურთელთან, მათ შორის პოლ პოგბასა და მარკუს რეშფორდთან. გარდა ამისა, ჟოზეს მანჩესტერის ხელმძღვანელობასთანაც დაეძაბა ურთიერთობა, ამიტომ მისი გუნდიდან წასვლა არავის გაუკვირდება.

მოურინიოს შესაძლო შემცვლელად ზინედინ ზიდანს ასახელებენ, თუმცა თვითონ ზიდანს ამ თემასთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია.

# ლორის კარიუსი კარიერას თურქეთში გააგრძელებს



ლივერპულის გერმანელი მეკარე ლორის კარიუსი, სავარაუდოდ, ლივერპულს დატოვებს და კარიერას თურქულ ბეშიქთაშში გააგრძელებს.

ბეშიქთაში სერიოზულად არის დაინტერესებული ამ ტრანსფერით და ლივერპულიც, სავარაუდოდ, უარს არ იტყვის, რადგან კარიუსმა ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა.

შესაძლოა, კარიუსი ბეშიქთაშში ერთწლიანი იჯარით გადავიდეს, რადგან, კლოპის თქმით, კარიუსს სათამაშო პრაქტიკა დასჭირდება.

შეგახსენებთ, რომ კარიუსმა ჩემპიონთა ლიგის ფინალში რამდენიმე უპატიებელი შეცდომა დაუშვა, რის შემდეგაც ლივერპულმა რომადან ალისონ ბეკერი იყიდა.

# ტონი კროოსი: „ამ დროს მძინავს ხოლმე“



ტონი კროოსმა ხეტაფესთან მატჩზე ისაუბრა და თქვა, რომ ესპანეთში თამაშები ზედმეტად გვიან იწყება.

კროოსის აზრით, ეს არ არის კარგი ფეხბურთელებისთვის.

– სიმართლე გითხრათ, თამაშის დროს ზოგჯერ ყურადღება მეფანტებოდა, რადგან საკმაოდ გვიანი იყო და ასეთ დროს, როგორც წესი, მძინავს ხოლმე. ჩემი აზრით, თამაშები უფრო ადრე უნდა დაიწყოს ხოლმე, – განაცხადა ტონი კროოსმა.

რეალმა ხეტაფე 2:0 დაამარცხა. გოლები გარეტ ბეილმა და დანიელ კარვახალმა გაიტანეს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

# კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სასარგებლო წიაღისეულით მდიდარი ზღვის თხელწყლიანი სანაპირო ზოლი; 2. სამხედრო პოლიგონი საქართველოში; 4. ტრაფარეტი, ნიმუში, შტამპი; 5. სისხლის თხევადი ნაწილი; 6. ღუზის ჩასაშვებ-ამოსაზიდი ჯალამბარი გემზე; 7. ფრანგული საავტომობილო კომპანია; 10. დიპლომატიური წარმომადგენელი; 12. დიდი თავის მქონე ბრტყელდრუნჩიანი სამომსახურეო ჯიშის ძაღლი; 13. ძვირფასი ქვების ძველი ქართული სახელწოდება; 16. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 17. გურიაში გავრცელებული ვარდისფერყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 18. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 19. ღარიბთა უბნების სახელწოდება ბრაზილიის ქალაქებში; 21. მუზეუმი მილანში.

**თარაზულად:** 3. მეხორცული ჯიშის სწრაფადსუქებადი ინგლისური ღორის ჯიში; 8. ცნობილი ჰოლანდიელი ფეხბურთელი; 9. ენციკლოპედიის გერმანული გამომცემლობა; 11. ერთი პროფესიის ხელოსანთა გაერთიანება ძველად საქართველოში; 12. სამშენებლო მასალა; 14. ფრანგი კინორეჟისორი; 15. ოფიცრის ჩინი; 20. ეგრისის მთავარი; 22. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 23. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი; 24. ზანგური ხალხური მუსიკის ჟანრი, ჯაზის წინამორბედი; 25. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 26. მთიბავთა სიმღერა ფშავ-ხევსურეთში; 27. ღვინის სასმისი.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

